საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 9 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 127 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 127

ღრმათ დამწუხრებული პოლინა ვასილის ასული მამულაიშვილისა აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 6 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე

**ილიკო დავითის ძე მამულაიშვილი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათზე საკუთარ სახლში „სერებრიანის რიადი" № 38. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე 9 ივნისს. წირვა კალოუბნის ეკლესიაში, დასაფლავების დღეს დილის 9 საათზე. (1824 2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი დისწული ვლადიმერ ასალოს ძე მეუღლით იულია ლუკას ასულით მამულაიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის და საყვარელის ბიძასი

**ილიკო დავითის ძე მამულაიშვილისას**

დაკრძალვის დღე დანიშნულია ოთხშაბათს, 9 ივნისს ვერის სასაფლაოზე. წირვა სამხედრო სობოროში დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. საკუთარ სახლში „სერებრიანის რიადი" № 38. (1825 2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი: ერასტო, ელენე, თამარა, ვალოდია და ქენია წულაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი და საყვარელი ბიძის

**ილიკო დავითის ძე მამულაიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 9 ივნისს ვერის სასაფლაოზე. წირვა სამხედრო სობოროში დილის 9 ს. პანაშვიდი საღ. 7 ს. თავის საკუთარ სახლში „სერებრიანის რიადი" № 38.

## განცხადება

## საქართ. რესპუბ. გზათა დეპარტამენტი

### ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და ყველა კერძო პირთა საყურადღებოთ შემდეგს:

1) უკანასკნელმა შექმნილმა მდგომარეობამ რესპუბლიკაში გამოიწვია სათბობ მასალათა და ნავთეულობის კრიზისი. ამის გამო აუცილებლად საჭიროა რათა არსებული რაოდენობა ნავთეულობისა მოხმარებულ იქმნას ეკონომიურათ. დასახულ მიზნის განსახორციელებლად ყველა ორთქლის ქვაბები და სხვა მათი მსგავსი მანქანები დაუყონებლივ უნდა გადაყვანილ იქმნენ შეშით ან ფხვნილი ქვა ნახშირით გახურებაზე ვინაიდან ტყიბულის მსხვილი და კაკალი ნახშირი მოხმარებულ იქმნება მხოლოდ რკინის გზათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ შიდაწვის მანქანები რომელნიც უნავთოთ ვერ ამოძრავდებიან. რათა წესიერი მუშაობა ცოტა ხნითაც არ იქნეს შეფერხებული, ზემო ჩამოთვლილი დაწესებულებანი შეშის და ფხვნილი ქვა ნახშირის დამზადებას უნდა შეუდგნენ დაუყონებლივ, ვინაიდან ნავთის მიცემა შეწყვეტილი იქნება 20 ივნისიდან.

2) მთელი რაოდენობა ნავთეულობისა როგორც სათბობი, გადაგვარებული ნავთი, ნავთი, წასასობი ზეთი და ბანჯვანი, რომელიც ინახება სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე, სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და კერძო პირთა საწყობებში—ირიცხება დეპარტამენტთან არსებულ ნავთეულობის გამნაწილებელ ბიუროში (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70—ნავთ-სადენის ნაწილი). ნაჩვენები მასალა აღირიცხებიან ქალაქის თვითმართველობის ერობის და სხვა საზოგადო ორგანიზაციათა შემწეობით.

3) ნავთობი შიდაწვის მანქანებისათვის და აგრეთვე სხვა ნავთეულობა სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და პირთათვის ბიუროს მიერ გაცემულ იქნება იმ გეგმის მიხედვით რომელიც ყოველთვიურათ შედგენილ იქნება ჩამოთვლილ დაწესებულებათაგან წარმოდგენილ მასალის თანახმათ.

4) სახელმწიფო დაწესებულებათ, საზოგადო ორგანიზაციათ და კერძო პირთ ნავთობი მიეცემათ სახაზინო რკინის გზებისაგან ერთი თვის საყოფი ბიუროს მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით.

5) ნავთი და ბანჯვანი მიეცემათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათ და საზოგადო ორგანიზაციათ, აგრეთვე ერთი თვის საყოფი თანახმად ბიუროს მიერ შედგენილ გეგმისა. ეს მასალა პირველ რიგში გაცემულ იქნება იმ კერძო პირთა საწყობებიდან, რომელნიც ითვლებიან ბიუროსთან არსებულ აღრიცხვაში: სათანადო ორდერების გაცემა ნახსენებ მასალის მისაღებათ დავალებული აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებს (ერობა და ქალაქის თვითმართველობა).

6) რკინის გზებიდან ნავთობი და ნავთეულობა გაცემულ იქნება თანახმად ზემოთ მოყვანილ წესისა დირებულების წინასწარ გადახდის შემდეგ.

7) ფხვნილი ქვა-ნახშირის შეძენა საწარმოო დაწესებულებებს შეუძლიანთ ტყიბულის მაღაროებში, რისთვისაც ცნობა საჭიროების შესახებ უნდა წარუდგინონ ინსპექტორს გზათა დეპარტამენტთან ნებართვის მისაღებად.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი
ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.

ნავთეულობის განმანაწილებელ ბიუროს
თავმჯდომარე ინჟენერი შ. ოგანესოვი. (6. 2—2)

## განცხადება

## შრომის სამინისტრო ამით აუწყებს

ყველა ინვალიდებს და შრომის უნარ დაკარგულ ყოფილ სახელმწიფო მუშებსა და მოსამსახურეებს, ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ქვრივ-ობლებს, მიუხედავათ იმისა ჰქონდათ თუ არა მათ პენსია დანიშნული, რომ თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიმდინარე წლის 21 მაისს დამტკიცებულ „სოციალურ დახმარების დროებითი წესებისა", მათ აღმოეჩინებათ, მდგომარეობის და უფლების მიხედვით, ერთდროული ან პერიოდული დახმარება.

დახმარების მიცემა დავალებული აქვს ადგილობრივ ქალაქებისა და სამაზრო ერობების თვითმართველობებს, რომლებსაც მთხოვნელებმა უნდა მიმართონ განცხადებით და აგრეთვე წარუდგინონ ნამდვილი ცნობები და საბუთები, რომლებსაც ეს ორგანიზაციები მათგან მოითხოვენ.

**შრომის სამინისტრო.** (6. 2 2)

## არტისტიული საზ. თეატრი

**დღეს, 9 ივნისს ა. აგაბონოვის** ხელმძღვანელობით, ჩერქეზიშვილის, ქივიძის, ტ. მ. გლავეცკოის, ვ. ე. მარაშევის, სომხ. სცენის არტისტი ქ. ქ. არშალუისი და მალალიანისა, მუსულ. სცენის არტისტი გარაგაშ-ხანუმ და ნადირა იბრაგიმოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ქართულ, რუსულ სომხურ და თათრულ ენებზე მუსიკალური კომედია

## არშინ მალ-ალან

გაჯიბეკოვისა. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. იქნება აღმოსავლეთის მუსიკა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დამდგმელი **ა. აგაბონოვი,** (1831 1—1)

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

**ნ. ჟორდანიას ლითოგრაფიული სურათი**

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწვდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

## განცხადება

საჭიროა შრომის სამინისტროსთვის ქართულ

**მანქანაზე მბეჭდავი**

გამოცხადდნენ დილის 9 12 საათამდე.

შრომის სამინისტრო. (6. 1—1)

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებს!

### ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო პარტიული ყრილობის მოწვევა ერთი კვირით გადასდოს. ყრილობა გაიხსნება 13 ივნისს, კვირას 12 საათზე.

ვაცნობებთ რა ამ დადგენილებას პარტიულ ორგანიზაციებს, ვთხოვთ მიიღონ შესაფერი ზომები, რომ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ მათ მიერ არჩეული დელეგატები ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

**ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშ. პარტიისა.**

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მოხსენებანი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკანტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა.
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმათ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს.

## ხელშეკრულების დედა-აზრი

გამოქვეყნდა დედანი იმ ხელშეკრულობისა, რომელიც საქართველომ დასდო საბჭოთა რუსეთთან. დაწვრილებით მისს ანალიზს და იურიდიულ დაფასებას ვერ ექნება ადგილი გაზეთის ფურცლებზე. გაზეთის მოვალეობაა მხოლოდ გამოარკვიოს ის საერთო პოლიტიკური გზა, რომელზედაც აყენებს ხელშეკრულობა ორივე შეთანხმებულ მხარეს, ასწონ-დასწონოს ის სარგებლობა თუ ზიანი, რომელიც ხელშეკრულობას მოაქვს ორივე მხარისათვის.

წინდაწინვე უნდა ითქვას ერთი რამ: კაცობრიობის ისტორიამ არ იცის არც ერთი ხელშეკრულობა, რომელიც მათემატიკურად ნათელი იყოს; ყოველსავე ხელშეკრულობაში უთუოდ მოიპოვება ისეთი მუხლები, რომლებიც შესაძლებელია ასეც ახსნა და ისეც; თუკი ორივე მხარე გულწრფელად არ არის დაინტერესებული შეთანხმებაში, ყოველთვის შეიძლება ხელშეკრულობა „ქაღალდის ნაფხრეწათ" აქციო და ამა-თუ-იმ საბაბით დაარღვიო. ესევე ითქმის იმ ხელშეკრულობაზედაც, რომელიც დაიდო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. აქაც ბევრია ისეთი მუხლი, რომელიც შეიძლება გამოიყენო შეთანხმების დარღვევის საბაბათ. ზოგიერთი მუხლის რედაქცია შესაძლებლად ხდის ისეთი აზრი ჩასდო შიგ, რაც ძირითადათ ეწინააღმდეგება მეორე მხარის ინტერესებს და მეორე მხარეს იმ მდგომარეობაში აყენებს, რომ მის არსებობისათვის შეუძლებლად ხდის მოთხოვნის მესრულებას.

ვინც ყურადღებით ჩაუკვირდება საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკურს გზას უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, იგი დარწმუნდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველოს მუდამ გარკვეული ხაზი ჰქონდა და ამ ხაზისათვის ერთი წუთითაც არ უღალატნია: ყველა სახელმწიფოების მიმართ იგი მუდამ მტკიცედ იცავდა ნეიტრალიტეტს, ე. ი. არავის შინაურ საქმეში არ ერეოდა და არავის ნებას არ აძლევდა მის საქმეებში ჩარეულიყო; არავის ნებას არ აძლევდა საქართველო გამოეყენათ ბაზად ერთმანეთთან ომში. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი აშკარა მტრობით იყო გამსჭვალული საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოში შემოსულ საბჭოთა რუსეთის მტრებს დაუყონებლივ იარაღი ეყრებოდათ და მათ კონცენტრაციულ ბანაკში ათავსებდენ. მაგრამ ამნაირადვე ვეპყრობოდით საქართველოში შემოსულ ბოლშევიკურ ჯარებსაც. მაშასადამე არც ერთ მებრძოლ მხარეს ნებას არ ვაძლევდით საქართველო გაეხადათ მონაწილეთ ერთმანეთთან ომში.

ეს **ნეიტრალობა** შეადგენს საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების დედა-აზრსაც. რუსეთის მხრით „ყოველ დავის გარეშე ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა", „საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე ხელის აღება"—ეს არის უმთავრესი, რასაც საქართველო მუდამ მოითხოვდა საბჭოთა რუსეთისაგან და რასაც აღწევს ამ ხელშეკრულობით. მაგრამ, რა თქმა უნდა, საქართველოსაც უნდა მიეღო თავის თავზე ვალდებულებები, რომლებიც გულისხმობენ, რომ იგი საბჭოთა რუსეთის მიმართ კეთილ მეზობლური განზრახვებით არის გამსჭვალული.

საქართველო თავის ტერიტორიაზე არ აჩერებს არავითარ სამხედრო ძალებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება. „კომუნისტს" სურს თავისებურად ახსნას ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი: „ამ მუხლის ძალით საქართველოს მთავრობას ევალება გასწმინდოს თავისი ტერიტორია ყველა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე მოქმედებას იჩენენ, განაიარაღონ და გააძევონ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან", სიხარულით ამბობს „კომუნისტი" და აქედან ასეთი დასკვნა გამოჰყავს: ეს პირობები „საქართველოს ხდის საბჭოთა რუსეთის ნამდვილ მოკავშირეთ. ეს კი თავისთავად გულისხმობს ანტანტაზე დამოკიდებულების და მასთან კავშირის გაწყვეტას. ეს ნიშნავს საქართველოს განთავისუფლებას ანტანტის იმპერიალისტების გავლენისაგან და სამაგიეროთ სოციალისტური რუსეთის ძლიერი პოლიტიკური, კულტურული და იდეური გავლენის ქვეშ მოყოლას".

ასე ოცნებობს „კომუნისტი". მაგრამ მას ავიწყდება ერთი უბრალო რამე: საქართველოს მაშინაც არ შემოუშვია თავის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ძალები, როდესაც საბჭოთა რუსეთთან მას არავითარი მოლაპარაკება და მეგობრობა არ ჰქონია. მაშასადამე ეს პირობა ახალს არაფერს ქმნის და საქართველოს ნეიტრალობის ერთ-ერთს გამოხატულებას წარმოადგენს. ახალია საქართველოს ტერიტორიიდან გაძევება იმ ორგანიზაციებისა,—რომლებსაც საბჭოთა რუსეთის მთავრობის ჩამოგდება აქვთ მიზნათ დასახული. მაგრამ „კომუნისტს" ავიწყდება, რომ საბჭოთა რუსეთიც თავის თავზე ღებულობს სწორეთ ამნაირსავე ვალდებულებას საქართველოს მიმართ, იგიც მოვალე ხდება საბჭოთა რუსეთიდან გააძევოს ის ორგანიზაციები, რომლებსაც საქართველოს ახლანდელი მთავრობის ჩამოგდება აქვთ მიზნათ დასახული.

ხელშეკრულობა საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოხატულებას წარმოადგენს. მხოლოდ საქართველოსადმი მტრობით და პროვოკაციის სურვილით თუ ახსნის ვინმე ამ ხელშეკრულებას ისე, ვითომც იგი ევროპასთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავდეს. არ არის ხელშეკრულობაში არც ერთი მუხლი, რომელშიაც ეს აზრი იყოს ჩადებული. არა გვგონია საბჭოთა რუსეთის მესვეურნი დაეთანხმონ აქაურ თავის უგუნურს მაჩანჩალებს, ხელშეკრულების რომელსამე მუხლს ასეთი განმარტება მისცენ და ამით შეუძლებელი გახადონ საქართველოსთან შეთანხმება და კეთილ მეზობლობა.

## „კომუნისტის მკითხველებს"

### ვინ სტყუის?

მე დიდი ხანი არ არის, რაც დავბრუნდი, როგორც დობროვოლიის, ისე ბალშევიკების სამეფოდან. ძალიან კარგათ ვიცნობ ამ ორივე ტყუპათ დაბადებულ ძმებს. საბჭოთა რუსეთს, ბალშევიკურ დიქტატურას მე ვიცნობ უფრო დაახლოვებით და დაწვრილებით, ვიდრე აქაური „კომუნისტი". მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ გაზეთმა არ იცოდა, რა მდგომარეობაში იყვენ და არიან რუსეთის მენშევიკები. არც ახლა მაქვს ეს წარმოდგენილი, არ შეიძლება „კომუნისტმა" ეს არ იცოდეს, მაგრამ ხელს აფარებს ამას. „კომუნისტი" ამახინჯებს ფაქტებს, ბეჭვდითი სიტყვას ხმარობს თავისი მკითხველების მოსატყუებლათ.

აი ჩემი ფაქტები და ვთხოვ გაზეთს, დაარღვიოს თავის ფაქტებით,

რუსეთის მენშევიკებმა ჯერ კიდევ არაჩვეულებრივ პარტიულ ყრილობაზე დეკემბრის 1917 წელს უარყვეს შეიარაღებული ბრძოლა ბალშევიკებთან. თავიდანვე დაადგენ მარტო იდეურ ბრძოლის გზაზე. ამის მიუხედავათ, მათი ცენტრალური ორგანო („Впередъ") არსებობდა პატარა ხანს. ცენტრალურ კომიტეტს მალე წაერთვა გაზეთის გამოცემის ნება. ვერ მოითმინეს მისი იდეური კრიტიკა.

1918 წლის სხვადასხვა დროს მომხდარ თათბირებზე რუსეთის მენშევიკები საქვეყნოდ აცხადებდენ,—საჭიროა ბალშევიკებს მხარი დავუჭიროთ რეაქციასთან ბრძოლაშიო. ამავე დროს თავის რეზოლიუციებში საჭიროთ ცნობდენ აბა თუ იმ ნაკლზე მითითებას, ბალშევიკური მართვა-გამგეობის კრიტიკას. მაშინ მისცეს ნება გაზეთის გამოცემის. გამოვიდა გაზ. „Всегда впередъ". გაზეთს ვერ შეურიგდა ლენინის მთავრობა. ვერ აიტანა მშვიდობიანი ოპოზიცია. გაზეთი დახურეს ერთი თუ ორი კვირის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტი გააგზავნეს ბუტირას ციხეში. მენშევიკებმა გაბედეს და გამოუშვეს ახალი გაზეთი „Рабочій интернаціональ". შეაჩერეს მეორე ნომერზე. მეორე ნომერი გამოსვლას ვერ მოესწრო, აწყობილი ასოები დაანგრიეს სტამბაში.

მას აქეთ გაზეთის გამოშვება აღარ ღირსებიათ. ძლიერდიდი გაზეთი ქონდათ უკრაინაში მომუშავე სოციალ-დემოკრატებს. ხარკოვი იყო უკრაინის ცენტრი. ჩვენ იძულებული ვიყავით ხშირათ გამოგვეცვალა ხოლმე გაზეთის სახელი. ამ გაზეთში მე თითონ ვმუშაობდი ბოლომდის. რედაქციიდან გამოვედი ბოლოს, როცა უკრაინელმა სოციალ-დემოკრატებმა თითქმის სავსებით მიიღეს ბალშევიკების ძალაუფლების მოვალეობა, როცა გაზეთი იწვევდა თავის მკითხველებს წითელ რაზმში ჩაეწერეთ და „საბჭოთა" მთავრობა დაიცავით უკანასკნელ სისხლის წვეთამდისო. ბალშევიკებმა ვეღარ მოითმინეს ვერც ეს გაზეთი, იქ ხედავდენ წვრილმან კრიტიკას თავის პატარ-პატარა ნაკლულევანებისას. გაზეთი დახურეს და მენშევიკები კანონს გარეშე გამოაცხადეს.

მენშევიკებს წაართვეს კრების ნებაც. ადგილობრივი ორგანიზაციები „ჩრეზვიჩაიკების" შიშით გარეთ ვერ გამოდიოდენ.

ლეგალური არსებობის ნება არ აქვს რუსეთში მენშევიკურ პარტიას არც დღეს. ბევრგან მთელი ორგანიზაციებია დატუსაღებული. მარტოვი ისე „თავისუფლათ" გრძნობს თავს მოსკოვში, რომ სიამოვნებით მოშორდება აქაურობას, თუ მოუხერხდა. ჩვენ ვიცით იმათ „პრავდის" და „იზვესტიის" ანგარიშებიდან, რამდენათ მისცეს მარტოვს სიტყვის თავისუფლება, როცა ის გამოვიდა საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტში პოლონეთთან ომის გამო.

ესეც რომ არ იყოს, საქმე აქ პარტიაშია და არა მარტოვში, ან ამა თუ იმ პიროვნებაში. ეს პარტია კი საშინლათ არის იქ შევიწროვებული. არცერთ რეაქციონურ ხანაში, არც ერთი რეაქციონურ მთავრობის დროს არც ერთი ოპოზიციონური პარტია არ ყოფილა ამისთანა მდგომარეობაში.

პოლიტიკური უპატიოსნობაა ამის შემდეგ იმის თქმა, რომ საქართველოს მთავრობა ისე ექცეოდა და ექცევა აქაურ ბალშევიკებს, როგორც ლენინის მთავრობა რუსეთის მენშევიკებს.

მე გიამბობთ თქვენ, „კომუნისტის" თანამგრძნობ მკითხველებს, ჩემი თვალით ნახულს, ჩემი რუსეთში მუშაობის დროს პირადათ გამოცდილს და სხვათა შორის, ჩემ თავზედაც გადატანილს. თქვენ საშუალება გექნებათ გაიგოთ ვინ გეუბნებათ ტყუილს და ვინ მართალს.

**ს. დევდარიანი.**

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**„მენშევიკების წრეში".** ამ სათაურით „იზვესტია", № 93 ათავსებს როსტოვიდან მიღებულ შემდეგ ცნობას: ყოფილი თერგის მთავრობა აბრამოვის თავმჯდომარეობით ატამან ვდოვენკოსთან ერთად თფილისში გაიქცა.

**„რაზე შეთანხმდნენ".** „იზვესტიას" № 95 ამ სათაურით ლვოვის გაზ. „ვპერიოდიდან" მოჰყავს შემდეგი ცნობა: პოლონეთის მთავრობასა და უკრაინის მისიას შორის ვარშავაში მოხდა შეთანხმება. პოლონეთის მთავრობა აღუთქვამს პეტლიურას დაუპყროს დნეპრის მარჯვენა მხარეზე მდებარე უკრაინა. სამაგიეროთ, პეტლიურა მისცემს პოლონეთს უკრაინის მიწებს, რომლებიც მდ. ზბრუჩისა და გორინის ხაზის დასავლეთით მდებარეობენ—მთელი აღმოსავლეთი გალიცია, დასავლეთი ვოლინი, დასავლეთი პოლესიე და ხოლმშჩინა. გარდა ამისა, პოლონეთს ეძლევა კონცესიები. პეტლიურას მიერ გაყიდულ მიწების სივრცე და მასზე მობინადრე მცხოვრებთა რაოდენობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება: ხოლმშჩინა 12,280 კვად. ვერსი. 749,800 სული მცხოვრები, ამათში რუსები 374,776; დასავლეთი პოლესიე 31,700 კვ. ვერსი, 850,700 მცხოვ., რუსი 653,305; დასავლეთი ვოლინი 11,950 კვ. ვ., 2,282,500 მცხოვ., რუსი 1,642,712; აღმოსავლეთი გალიცია 46,600 კვ. ვ., 3,381,000 მცხ., რუსი 2,764,089. „იზვესტია" შემდეგს შენიშნავს: „მაშ, 100 ათასზე მეტი კვ. ვერსი რუსული მიწა და 5 მილიონზე მეტი რუსი მცხოვრები! აი, როგორ უხვ სასყიდელს აძლევს პეტლიურა პოლონელ პანებს დახმარებისათვის".

იგივე ცნობა იმავე გაზეთიდან მოჰყავს გაზ. „პრავდას" № 95 შემდეგის სათაურით: „პატრონის დაუკითხავათ!" გაზეთის აზრით „პატრონი" რუსეთია.

**ბამბა თურქესტანიდან.** 30 აპრილს მოსკოვში მივიდა ტაშკენტიდან „ტურკო ძისიის" საშარშრუტო მატარებელი 25 ვაგონი ბამბით დატვირთული. რამოდენიმე მატარებელი გზაშია. თურქესტანიდან მოტანილ ბამბას სამარაში გადატვირთავენ, საიდანაც განზრახულია ბამბა მდ. ვოლგით გაიგზავნოს საფაბრიკო საქარხნო რაიონებში. სამარაში სდგას 175 ვაგონი ბამბით დატვირთული. თურქესტანიდან იგზავნება აგრეთვე რამოდენიმე ცისტერნი ბამბის ზეთი. („იზვ." № 95.)

**საავიტაციო ბროშიურის კონკურსი.** „პრავდის" მე-98 ნომერში მოთავსებულია შემდეგი განცხადება: „საყოველთაო შრომის ბეგრის მთავარ კომიტეტს ესაჭიროება ბროშიურა, რომელიც მკითხველთა ფართო წრისათვის იქნება დაწერილი შემდეგ თემაზე: „რა არის საყოველთაო შრომის ბეგარა და შრომის დეზერტირები." „გლავკომტრუდი" საყოველთაო კონკურსს აცხადებს რუსეთის ფარგლებში ასეთ ბროშიურის დაწერაზე.

**სავალდებულო შრომის ბეგრისათვის.** საყოველთაო შრომის ბეგარის მთავარი კომიტეტი, წინადადებას აძლევს „ყველა დაწესებულებებს წარმოადგინონ შემდეგი ცნობები ყველა მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრატიულ პირების შესახებ: 1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) სქესი, 3) წლოვანობა, 4) პროფესია და თანამდებობა, 5) წინანდელი პროფესია ან სპეციალობა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის პირები, რომლებიც არჩეულნი არიან ბეგარის გამტარებელ ადგილობრივ კომისიაში. („პრავდა" № 98)

## საქართველო და აზერბეიჯანი

### დროებითი ზავი.

7 ივნისს თფილისში ჩამოვიდნენ საქართველოს საზავო დელეგაციის თავმჯდომარე სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე და საზავო დელეგაციის წევრები დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი სიმონ მდივანი, აზერბეიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და გენერალი ანდრონიკაშვილი. დელეგატები ჩამოვიდნენ თფილისში მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ მოსახსენებლად და მთავრობისაგან საჭირო ინსტრუქციების მისაღებათ.

**საუბარი ბ. ალშიბაიასთან.**

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აზერბეიჯანში გ. ალშიბაიამ განაცხადა, რომ დროებითი ზავი აზერბეიჯანთან კიდევ 3 დღით გაგრძელდება. საუბრის დროს ალშიბაიამ აღნიშნა ის ძალადობა რომელიც განიცადა

# დღეს

ფრანგული ცნობით გერმანიის არჩევნებში დემოკრატიული პარტიის მიერ დაკარგული ადგილები მემარჯვენეებმა მიიღეს, სოციალ-დემოკრატების კი —დამოუკიდებელმა სოციალისტებმა.

სპას კონფერენცია გადაიდება 5 ივლისისათვის. ამ კონფერენციის გამო მილიერანი და ლოიდ ჯორჯი ივნისის გასულს ითათბირებენ.

ამერიკის მთავრობა ხალხთა ლიგის ბრიუსელის კონფერენციაზე თავის წარმომადგენელს არ გაგზავნის.

ოსმალეთისთვის საპასუხოთ მიცემული ვადა მოკავშირეთა მთავრობამ 15 დღით გააგრძელა.

## გენერალური შტაბის ცნობა.

**ივნისის 7.**

ხულოს მიმართულებით მზვერავთა მოქმედება.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

**ივნისის 8.**

როყის მიმართულებით ოსების ბანდება, რომელნიც საკმაოდ გაძლიერდნენ ჩრდილო-კავკასიიდან მოსული დამხმარე ძალებით, ჩვენი მოწინავე ნაწილების წინააღმდეგ აქტიური მოქმედება დაიწყეს.

გოდერძის უღელტეხილის რაიონში ჩვენი მზვერავთა მოქმედება სწარმოებს.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

---

მან საქართველოს დიპლომატიური მისიის სხვა წევრებთან ერთად ადერბეიჯანში მომხდარი გადატრიალების დროს.

იმ ძალადობის შესახებ, სთქვა ალშიბაიამ, რომელიც განიცადეს ჩემთან ერთად საქართველოს მისიის სხვა წევრებმა, მე თავის დროზე ჯერ კიდევ 30 მაისს ვაცნობე ტელეგრაფით რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს. დამპირდენ, რომ ჩემ დეპეშას რადიოთი გადმოგზავნიდნენ. დეპეშაში მე ვიტყობინებოდი, რომ იმ დროს, როდესაც მე ვიმყოფებოდი ყარაბახში, როგორც წევრი ამიერ-კავკასიის კონფერენციის საერთაშორისო კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა სომარ მოქმედების შეჩერება მუსულმანებსა და სომხებს შორის, 29 აპრილს მე შევიტყვე ბაქოში მომხდარი გადატრიალების შესახებ და აგრეთვე ისიც, რომ საბჭოთა ჯარები მიიწევენ საქართველოს საზღვრებისაკენო. 29 აპრილსავე ბარდიდან მე გავგზავნე დეპეშა გარეშე საქმეთა კომისრის სახელზე პროტესტით იმის გამო, რომ მათი ჯარი საქართველოს საზღვრებისაკენ იწევდა და ვთხოვდი საშუალების აღმოჩენას ბაქოსთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო, რათა საჩქაროდ ჩავსულიყავი იქ და დამეწყო მოლაპარაკება, რომ ამეცილებია სისხლის ღვრა. ჩემ წინადადებაზე მე არავითარი პასუხი არ მიმიღია. 2 მაისს, სამ საათზე მე მოვახერხე ბაქოში ჩასვლა. 5 საათზე მე დამიჭირეს და გაჩხრიკის და ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტების ჩამორთმევის შემდეგ დამამწყვდიეს ციხეში განსაკუთრებულ კომისიასთან. ამ რიგად, ჩემი წინადადება მოლაპარაკების გამართვის შესახებ, რომ აგვეცილებია სისხლის ღვრა, უკუგდებულ იქნა. 28 აპრილს დაიჭირეს მისიის პირველი მდივანი დგებუაძე და სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ნაცვალოვი, რომლებიც დაამწყვდიეს ციხეში. 2 მაისს დაიჭირეს და დაამწყვდიეს ციხეში საგანგებო კომისიასთან მყოფი აფხაზეთის საინფორმაციო ბიუროს წარმომადგენელი.

ჩვენ გვინახავდენ გამოუთქმელ მძიმე პირობებში, მისიის პირველი მდივანი დგებუაძე, რომელიც დამწყვდეული იყო ბაილოვის საპყრობილეში, უხეში ძალით აიძულეს ბაქოს ქუჩები ეწმინდა, რის შესახებაც გაგებისთანავე მე გაუგზავნე პროტესტი ციხიდან გარეშე საქმეთა კომისარს. 29 მაისს, 3 საათზე, მთელი ჩვენი მისია გაანთავისუფლეს ტყვეობიდან. 30 მაისს ვინახულე კომისარი ჰუსეინოვი და პირადათ განუცხადე სასტიკი პროტესტი საერთაშორისო დამოკიდებულებათა ისტორიაში გაუგონელ მოპყრობის გამო, რომელიც გამოიხატა მისიის დატყვევებაში და მის პირველ მდივანზე დგებუაძეზე საოცარ დაცინვაში.

შემდეგ ალშიბაიამ განაცხადა, რომ 29 აპრილს, როდესაც იგი იმყოფებოდა შუშაში, პირველად გაიგო ბაქოში მომხდარ გადატრიალების ამბავი და იმ დღესვე დააპირა შუშიდან საჩქაროთ გამგზავრება. შემდეგ მან გაიგო, რომ საქართველოს მისია დაჭერილ იქნა ბაქოში 28 აპრილს წითელ არმიელების მიერ. მასთან ერთად მისიის ბინა დაბეჭდეს. საქართველოს მისიასთან ერთად დაიჭირეს ინგლისის, საფრანგეთის და სომხეთის მისიები. პირველად ყველა 4 მისია ერთად იყო დამწყვდეული, მაგრამ შემდეგ გააცალკევეს. საქართველოს მისია საქართველოსთან დროებითი ზავის ჩამოგდების გამო გაანთავისუფლეს 29 მაისს. (სდს).

**ადერბეიჯანის საზავო დელეგაცია.**

საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით დელეგაციაში შედიან: სულთანოვი მეჯიდ ეფენდიევი, თავმჯდომარე, რომელიც აღჭურვილია უფლებით ადერბეიჯანის მთავრობის მიერ მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულებაზე. დელეგაციის წევრები: პლევშაკოვი, ბესარიონ ლომინაძე და მრჩევლები: პროფესორი ტიმოფეევი და საადი.

## წერილები ბრძოლის ველიდან

I.

10 მაისს ახალ ბატალიონებთან ერთად გავემგზავრეთ ბრძოლის ველზე. ჩვენ ამ დროს ბევრი ფრონტები გვქონდა, რის გამო წითელ ხიდზე თავის დროზე ვერ გავგზავნეთ საკმაო ძალა. ამითი ისარგებლა „წითელმა“ ადერბეიჯანმა და ჩვენი საზღვრები საკმაოთ გადმოლახა. სახალხო გვარდიის მცირე ძალები გააფთრებული იცავდნენ თფილისისაკენ მომავალ გზებს და უცდიდნენ მაშველ ამხანაგებს. თფილისი კი ღელავდა, ამხანაგებს ნერვიანობა ეტყობოდათ...

თფილისიდან გასვლის დროს ჩვენ სისწორით არ ვიცოდით მტრის ძალები. ვიცოდით, რომ მტერს სერიოზული ძალა ჰყავდა რიცხვით, ხოლო მისი შემადგენლობა და ხარისხი ჩვენთვის ბუროსით იყო მოცული.

სანდარში მისვლისას ესეც გამოირკვა. ჩვენს მოწინავე სადარაჯოს ამ დღეს მტრის მზვერავრა რაზმი დაემარცხებია, რომელსაც იქვე დაეგდო მოკლული მეთაური. მოკლულს ჯიბეში ბრძანებები ჰქონდა, საიდანაც გავიგეთ, რომ ჩვენ წინ იდგა საბჭოთა რუსეთის დივიზია, რეზერვს გარდა ბრძოლის ხაზზე იდგა ორი ქვეითა პოლკი რუსებისა, ერთი ქვეითა პოლკი თათრებისა (ზაქათალის), ერთი რუსების ცხენოსანი პოლკი, არტილერია და ადგილობრივ მცხოვრებთა ბრბოები, რომელთა რიცხვის დასახელება ძნელია, ისე კი ბევრი იყვნენ. ჩვენ მაშინ ამდენი ძალა რიცხვით არ გვყოლია, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია შეტევა გადაგვედო.

უკვე ღამდებოდა. ჩვენ ერთ მთაზე გავედით, საიდანაც თვალ და თვალ გვიჩვენეს გენ. ჯიჯიხიამ და ამხ. ვალიკომ მტრის პოზიციები. იქიდან უნდა დავეწყო მანევრები, გვიჩვენეს ყველა ეს იქვე ქარტაზედაც და დავბრუნდით ვაგონში უკანასკნელად მოლაპარაკებისათვის.

ცოტა ხნის შემდეგ როლები განაწილებული იქნა. იქვე გავანაწილდით მთავარი შტაბის წევრებიც. დრო არ ითმენდა. განსაკუთრებით დასაჩქარებლათ ჰქონდა საქმე მარჯვენა კოლონას, რომელსაც უხიდობის გამო (წითელი ხიდი მტრის უკან იყო) სადახლოზე უნდა მოგვევლო. ამიტომ მოლაპარაკებისათანავე წამოვიჭერით და თითქმის ყველამ ერთად თქვა: „მაშ, ეხლა ნახვამდის“.

ეს ის მომენტია, როცა ყველა გულითად ამხანაგებს ელვასავით გაურბენს თავში: „ვნახავთ კიდევ ერთმანეთს?“ მაგრამ არავინ არ ამბობს ამას ხმამაღლა. ჩვენც უსიტყვოთ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი...

ჩვენ მთელი ღამე, დილის 8 საათამდე მოვუნდით ს-ში ჯარის გადმოტვირთვას, მათ დაწყობას, საბარგულეების დატვირთვა-შებმას და გამგზავრებას. ამან დააგვიანა დანიშნული შეტევა საერთოდ, რადგან მარცხენა კოლონაც ჩვენ გვიცდიდა. მხოლოდ 12 საათზე მიუახლოვდით ბრძოლის სფეროს, მიუახლოვდით იმ მთების კალთებს, რომლებზედაც მტერი იყო გამაგრებული (ბაბაკიარი და ტარსი). აქ ჯარმა შეისვენა, ისადილა, ხოლო სამხედრო ხელმძღვანელებმა გეგმა სავსებით გაითვალისწინეს, ცალკე ბატალიონებს თავის გზა მიუჩინეს, და შევუდექით.

თითო მთის ასაღებათ დანიშნული იყო თითო ბატალიონი, ხოლო ცხენოსანი დივიზიონი ზურგს უმაგრებდა. მე და ამხ. ხარაშმაც გავიყავით მთები: ის შემემუშტრა იმერლებში და მეც ბევრი აღარ ვედავე, რადგან გარე-კახელებიც მიცნობდნენ. გზადაგზა მე და გენერალმა ს. კაჩაგანში შევიარეთ, სადაც ანგარიშით ტელეფონი უნდა დაგვხვედროდა. დაველაპარაკეთ მარცხენა ფრთას, საიდანაც ვალიკომ გვაცნობა, რომ მარცხენა ფრთამ უკვე დაასრულა მანევრები და გვიცდის. ტარსზე წასული შორაპნელები უკვე შორს იყვენ, ხოლო ჩვენ დავაჩქარეთ გზა ბაბაკიარისაკენ. გზადაგზა ჩვენ უნდა დაგვეკავებია წინა მთის ბილიკი, რომელიც გაგვიადვილებდა ბაბაკიარის აღებას, მაგრამ ეს საქმე უკვე გაეკეთებია ჩვენ მისვლამდე ცხენოსან დივიზიონს, რომელიც კაჩაგანთან გვიცდიდა (წყალში გავიდა) და რომელსაც ერთი მწყობრი აეგზავნა მთაზე. ამის გამო ჩვენ კიდევ უფრო თამამად ავყევით მთის კალთებს. გარეკახელებს გამოცდილი აფიცერი (პორუჩიკი) ედგა სათავეში, მზვერავებს შემდეგ თვით მიდიოდა ცხენით და ბატალიონიც უდარდელათ მოგვყვებოდა. უკვე გაუარეთ გიკილს და ავედით ვაკეზე, სადაც თათრის სოფლებს საზაფხულო საძოვრები აქვთ. უცებ ჩვენი მზვერავები შეჩერდენ და უკან მოიხედეს, რითაც გვანიშნეს, რომ მტერი გამოჩნდაო. ჩვენ მაშინვე გავაჭენეთ ცხენები და მივედით მათთან. იქიდან ბაბაკიარი კარგათ ჩანდა. თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო (ორი ვერსი მეტი იქნებოდა). მზვერავებმა გვითხრეს, რომ იქიდან უკვე გვესროლესო. ბინოკლებით ჩქარა შევამჩნიეთ, რომ ყველა გორაკები გამაგრებული ჰქონდათ. შემთხვევით უკან საძოვრათ გაშვებული მათი ცხენები ამოვიდენ მწვერვალზე და მივხვდით, რომ ცხენოსნებიც ყავსთ. ამავე დროს მათი ასე შორიდან სროლის ატეხიდან ცხადი იყო, რომ მთა მხოლოდ თათრებს ეჭირათ. პრუსეცკი იქვე მიუბრუნდა აფიცრებს და აუხსნა, თუ რა უნდა ექნათ, გაშალა ჯარი და მისცა ნიშანი.

გავიარეთ ერთი ღელე, გავედით მეორე ვაკეზე და... ტრახ... ტრახ.. ტრახ.. მოგვეყარა მტერმა. კახელებმა ინსტიქტიურათ მოიმარჯვეს თოფები, მაგრამ კომანდირმა შენიშნა და აუკრძალა სროლა. „ისინი სულელებია, ამ სიშორეზე გვესვრიან, ჩვენც ხომ არ უნდა გავსულელდეთო“. მივდივართ ორ ვერსზე გაშლილი, მივდივართ წყნარად და გვეცინება თათრების აღელვება. კახელები უკვე ხუმრობენ: „ე მანდ სროლას თავი დაანებე, ამ შენ მერჯულეებს ჯოგი ნუ დაუფრთხე ერთი და“. მართლაც, ჩვენ წინ ჯოგით მოფენილი ველი ერთბაშათ აზეირდა, ხარ-კამეჩი, ძროხები, ცხენები ერთი-მეორეში აირია. ამასობაში წვიმა დაუშვა და ცოტა არ იყოს, ხუმრობის კილოში მიძალების ტონი შეიტანა. ჩვენ მაინც მივდივართ და ვამჩნევთ, რომ რამდენი წინ მივდივართ, იმდენი გვცილდება სროლის ხმაც. მტერი მიახლოვებისას სცლის გორაკს გორაკზე. ჩვენი მარჯვენა ფრთა, აფიცერ კველიშვილის თაოსნობით, უკვე მოექცა მთის გაგრძელებულ შტოს წვერში. ცოტა კიდევ, და ისინი ერთ მაღლობს დაიჭერენ. კოლონის უფროსი ხიმშიაშვილი ცხენით წამოეწია მათ, გაამხნევა და შემდეგ ჩვენ ჩამოგვიარა, გაგვაგებია მსვლელობა სხვა ბატალიონების და ისიც, თუ სად გაჩერდებოდა რეზერვი და არტილერია. მივდივართ. კახელებმა ეხლა ღმერთზე დაიწყეს ხუმრობა: „გაწითლებულია ისიც თავისავით, რაღა ახლა დაუშვა წვიმაო“-ო. სროლა თანდათან ნელდება. აგერ ჩვენი ფლანგი ავიდა ერთ მაღალ დაცლილ გორაზე და მათი იქ გამოჩენით სროლა ერთბაშათ შეწყდა. ამის შემდეგ ჩვენ წინააღმდეგობის გაუწევლათ ავცოცდით მთავარ გორაზე. ავიღეთ ეს უდიდესი სტრატეგიული პუნქტი ისე, რომ ერთი ტყვია არ გვესროლა; „მგონი თათრებს გული გაუსკდათ უსროლელათ რომ მივაშურეთ“-ო, ამბობდენ გვარდიელები. ოღონდაც, იმიტომაც გეუბნებოდით არ ისროლოთო, უპასუხებდა ამაყათ კმაყოფილი უფროსი.

ამასობაში დაღამდა კიდეც. წვიმა თავისას არ იშლიდა. გვარდიელებმა აღარ უყურეს ომის წესს და, თუმცა მოფარებულ ადგილებში, მაინც გააჩაღეს ცეცხლი აქ—იქ. ყოველგვარ განკარგულებების გაცემის შემდეგ უფროსმა გადასწყვიტა თვით წასულიყო ხიმშიაშვილთან, სადაც შეიძლება გენერალიც ყოფილიყო, რომ მეორე დღის მოქმედების გეგმაზე პირადათ მოელაპარაკნათ. მეც მას გავყევი.

გენერალი უკვე მოლაპარაკობდა მარცხენა კოლონას და დარიგებული დაგვხვდა ბრძანებები მეორე დღის მოქმედების შესახებ. შეტევა გათენებისას უნდა დაწყებულიყო

ზ. დათიაშვილი.

## ცოტა რამ კომუნისტებზე

ცნობილია, რომ სტამბის მომუშავეთა შორის ნაკლები გავლენა ჰქონდათ თავიდანვე ბალშევიკებს. მეტად ცდილობდნენ მათში ფეხის მოკიდებას, მაგრამ არ უხერხდებოდათ და დიდათ ნაწყენები რჩებოდნენ.

ასე იყო არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიაც. იქ დღესაც ამგვარათ ყოფილა მათი საქმე და ვინც თვალყურს ადევნებს „ერთობაში“ ბალშევიკურ გაზეთებიდანვე ამოღებულ ცნობებს, მას ეხსომება გაბრაზებით წამოსროლილი სიტყვები მბეჭდავთა ადრესზე: ისინი თურმე ღალატობენ მუშათა კლასს, შტრაიკბრეხერებათ გადაქცეულან და სხ. და სხ.

ჩვენებური ახლად მოთვინიერებული კომუნისტები წარსულ გამოცდილებას ყურადღებას არ აქცევენ და კვლავ იმედი აქვთ, რომ ისინი შესძლებენ მბეჭდავთა თავიანთკენ გადაბირებას.

დახეთ, (იზვესტია № 2) შეუდგენიათ და კაი მაგარი რეზოლიუციაც გამოუტანიათ! მოუწოდებენ მბეჭდავებს შემოკრბენ გაზეთ „კომუნისტის“ გარშემო და მზად იყვნენ მტერთა შესამუსრავად! ჩვენ თითონ მშიერები ვართ, მაგრამ მაინც უნდა გამოვიღოთ ჩვენი მუშური წვლილი გაზეთ „კომუნისტის“ უზრუნველსაყოფელადო! „კომუნისტმა“ მუშების კაპეიკებით უნდა იარსებოსო!

განა საიდუმლოებას შეადგენს ის გარემოება, რომ გაზეთ „კომუნისტს“ საარსებო წყარო დიდი აქვს მუშების დაუხმარებლადაც? რომ მას ჩვენი მუშებისაგან მხოლოდ ზნეობრივი დახმარება ესაჭიროება?! გაზეთი „კომუნისტი“ ისეთ საქმეს ემსახურება, განსაკუთრებით ჩვენში, რომ შორიდანაც რომ არ მოუვიდეს საარსებო მასალა, აქაც ბლომად არიან მათგან მხოლოდ სიტყვით ათვალწუნებულნი რეაქციონერები, რომელნიც სიამოვნებით დაეხმარებიან ჩვენებურ კომუნისტებს მათს „კომუნისტურს“ მუშაობაში.

ამას გარდა, ოღონდ პაიჭაძე და ძმანი მისნი იყვნენ კარგად, და გაზეთ „კომუნისტს“ გაუჭირდება არსებობა?!

ჩვენი მუშები რომ ადვილად ჩასათრევნი ყოფილიყვნენ, ამდენ ხანს ვერ აიყოლიებდნენ განა მათ და ვერ გააკომუნისტებდნენ? მაგრამ მუშებმა კარგად იციან, ვის და რას ემსახურებიან ბალშევიკები და მიტომ არც ამდენხანს გაჰყოლიან და არც ამის შემდეგ გაჰყვებიან ახლად მოშინაურებულ კომუნისტებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, თუ რა გაცხარებით ახდენენ კომუნისტები რეგისტრაციას და სად და როგორ აგებენ მახეს, რომ ადვილად გაზარდონ თანამგრძნობთა და წევრთა რიცხვი. ასე წარმოიდგინეთ, რუსსოვეტიც მოიშველიეს, რომ რა არის, დენიკინელიც კი არ წაუვიდეთ ხელიდან!

განა ჩვენ, მუშებმა არ ვიცით, რომ ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას აუარებელი მტერი ჰყავს ჩვენშივე, რომლებიც ყოველგვარ ორგანიზაციას მიეკედლებიან, ოღონდ შეეძლოთ იქიდან რამე ვნება მიაყენონ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას?! განა ცოტა არის იმის მაგალითი, რომ გუშინდელი რუსის სოციალ-დემოკრატი და დენიკინელი დღეს კომუნისტია?! ამათთვის სულ ერთია; ოღონდ მიზანს უახლოვდებოდნენ...

უნდა ითქვას, რომ საზოგადოთ ჩვენი მუშების და დემოკრატიის მოტყუილება ძნელი საქმე შეიქნა! აგრეთვე ძნელი დარჩა მბეჭდავთა ჩათრევაც, რადგან ისინი კიდევ უფრო ახლო არიან ბეჭდვითი სიტყვასთან, და თუ თავიანთი თვალით არ უნახავთ, წაუკითხავათ მაინც ბალშევიკთა საქმენი საგმირონი. მათ ახსოვთ ერთ ჩვენებური ბალშევიკის მიერ წარმოთქმული სიტყვები: ჩვენში სიძვირის მიზეზი ის არის, რომ რუსეთის ბალშევიკებს მოწყვეტილები ვართო! ისინი ჩვენ მოვიტანენ ყველაფერს, გაგვაბედნიერებენო!

თუ რა მოუტანეს ჩვენს მეზობლებს, ხომ ვნახეთ და გავიგონეთ! კიდევ უარესი სიძვირე და შიმშილი, გაოხრება და განადგურება დაგვირგვინდა იმით, რომ მეზობელთა შორის სისხლის ღვარიც დადგა. განა ამას ჰქვია ბედნიერება?!

ჩვენ ვიცოდით ყველაფერი ეს წინადაც; ვისაც არ სჯეროდა—ახლა დარწმუნდა და ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა ჰქონდეთ ჩვენებურ კომუნისტებს—ხალხი ჩვენ გამოგვყვებაო?..

იმედი დიდს ნიშნავს.

მუშა ს. დ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 ივნისი.

**უკრაინის წინადადება.**

**ნიკოლაევიდან.** საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი რადიო მიიღო: თფილისი, საქართველოს სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო დამოკიდებულობის აღდგენის გამო უკრაინის სოციალისტური საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ მისსა და საქართველოს სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის ნორმალურ დამოკიდებულობის დამყარება ორივე ქვეყნის ხალხის ინტერესებისათვის ფრიად სასურველი იქნება. თუმცა აქამდის საბჭოთა უკრაინასა და საქართველოს შორის ოფიციალური დამოკიდებულობა—არ არსებობდა, მაგრამ მუშათა და გლეხთა მთავრობა მფარველობაზე უარს არ ეუბნებოდა ქართველ მოქალაქეებს. მან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო ექვს ქართველ ექიმს, რომელთაც ხარკოვის საექიმო ფაკულტეტი დაასრულეს და აგრეთვე საქმიან დამოკიდებულობას განაგრძობდა უკრაინაში მყოფ საქართველოს ყოფილ კონსულებთან. მიუხედავათ ამისა, ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ იძულებული ვიქნებით შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა საჭიროდ არ ჩასთვლის მოაწესრიგოს უკრაინასთან თვისი დამოკიდებულება და ამ მიზნით საჭირო საზავო მოლაპარაკებას არ დაიწყებს. ვფიქრობთ რა, რომ ორივე ეკონომიურ ინტერესებით შეკავშირებულ სახელმწიფოს შორის მეგობრულ დამოკიდებულობის აღდგენის წინააღმდეგ არავითარი სერიოზული მიზეზი არ იქნება საქართველოს მთავრობის მხრივ წამოყენებული, უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით წინადადებას ვაძლევ საქართველოს მთავრობას საზავო მოსალაპარაკებლად თავისი დელეგატი დაასახელოს. საზავო მოლაპარაკების ადგილათ უკრაინის მთავრობა ასახელებს ქ. ხარკოვს № 421—28 მაისი, 1920 წ. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **რაკოვსკი.**

**ფრანგული ცნობები.**

**ხალხთა ლიგა და ამერიკა.**

ამერიკის მთავრობამ უარყო ხალხთა ლიგის მოწოდება, რომ ბრიუსელის კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს.

**სპას კონფერენცია.**

სპის კონფერენცია, უთუოდ, გადადებული იქნება 5 ივლისისათვის. ამ ვადამდე მოკავშირეთა მინისტრები ბელგიაში შეხვდებიან ერთმანეთს ივნისის დამლევს. ითათბირებენ მილიერანი და ლოიდ-ჯორჯი.

**არჩევნები რუმინეთში.**

ბუხარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის ახალი კაბინეტის არჩევნებში გენ. ავერსკოს სახალხო პარტიამ იონესკო დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებით გაიმარჯვაო. მან 160 ადგილი მიიღო. არჩეულია ავერსკოს კაბინეტის ყველა მინისტრი, თვით გენერალი 10 ოლქში აირჩიეს. ტაკე იონესკო ბუხარესტში აირჩიეს.

**ავსტრიაში.**

კანცლერმა რენერმა კვირას ავსტრიაში მყოფი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი მიიღო. საუბრის დროს საფრანგეთის წარმომადგენელმა კანცლერის ყურადღება მიაქცია ვენის გაზეთებში პანგერმანულ კომპანიას და გაახსენა მას, რომ სანჟერმენის ხელშეკრულების პირობები აუცილებლად მტკიცეთ უნდა იქნეს დაცული.

**არჩევნები გერმანიაში.**

გერმანიის არჩევნებში სჩანს, რომ გამარჯვება უკიდურეს პარტიის, განსაკუთრებით დამოუკიდებელ სოციალისტებისკენაა. ნათლად სჩანს ზომიერი პარტიების დასუსტება. საბოლოო შედეგები ოთხშაბათამდე არ გამოირკვევა.

გერმანიის არჩევნებში დემოკრატიული პარტიის მიერ დაკარგული ადგილები მემარჯვენეებმა მიიღეს, სოციალდემოკრატებისა კი—დამოუკიდებელმა სოციალისტებმა.

**ოსმალეთი და საზავო ხელშეკრულება.**

მოკავშირეთა მთავრობამ გააგრძელა 15 დღით ვადა, რომელიც ზავის საპასუხოთ ოსმალეთისათვის იყო მიცემული.

## ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე ც. კ-ტის ბინაზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური და თფილისის კომიტეტის სხდომა. ამ სხდომაზე მოწვეული არიან მთავრობის და შრომის სამინისტროს წარმომადგენლები, აგრეთვე პროფეს. კავშირთა ცენტრის აღმასრ. კომიტეტის, თფ. პროფ. კავშირთა სეკრეტარიატის, სატარიფო პალატის და კოოპერ. კავშირთა ცენტრ. გამგეობის წარმომადგენლები.

◆ **საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა საქართველოში.** თფილისში მოსულ ცნობით მოსკოვიდან უკვე გამოსულა საბჭოთა მისია, 30 კაცისაგან შემდგარი. მისიას მოელიან ამ კვირაში.

◆ **ზაქათალის სომხები.** თფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენ.-გუბერნატორმა წინადადება მისცა თელავის, სიღნაღის და ზაქათალის ერობებს განსაკუთრებულ განკარგულების გამოცემამდე დასტოვონ საქართველოს ტერიტორიაზე ზაქათალის მცხოვრები სომხები.

◆ **მატარებელი ერევანში.** ვინაიდან თფილისსა და ერევანს შორის არ არსებობს რეგულიარული მიმოსვლა სამგზავრო მატარებლებისა, ექსპლოატაციის გამგეობამ განკარგულება გასცა, რათა განსაკუთრებულ განკარგულების გამოსვლამდე არ გაყიდონ ბილეთები სად. სადახლოს იქით, მატარებლები ერევანში წავა მხოლოდ კენტ რიცხვებში. (სდს)

◆ **საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა** ფედმბირმა საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩია ს. დევდარიანი.

◆ **გრიშაშვილის საღამო** სახელმწიფო თეატრში ხვალ, ხუთშაბათს, 10 ივნისს გაიმართება.

◆ **აგარაკები სახელმწიფო მოსამსახურეთათვის.** მთავრობამ გადასწყვიტა კოჯორის სახელმწიფო აგარაკი არავის მისცეს იჯარით და დატოვოს იგი მიწათმოქმედების სამინისტროს ხელში, შეღავათიან ფასებში სახელმწიფო მოსამსახურეთათვის გადასაცემად. აგარაკების გაცემის პირობების შესასწავლად შედგენილია განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისია; ამასთანავე გადაწყვეტილია აგარაკების მოსამსახურეებზე გაცემით დაფარონ დაახლოვებით შენობების შესაკეთებლად და შესანახად გაწეული ნახევარი ხარჯები. სამინისტრო უკვე შეუდგა აგარაკების შეკეთებას. ამასთანავე განზრახულია ამ მოკლე ხანში მოაწყონ ელექტრონის სადგური.

◆ **მატარებელი ბაქომდე.** თფილისის გენერალ გუბერნატორის განკარგულებით სამგზავრო მატარებელი № 4, რომელიც სოლოღლის სადგურამდე დადის, ნაწილობრივ, 3—4 ვაგონის შემადგენლობით, მივა ფოილოს ხიდამდე. ხიდის დაზიანებული ნაწილი შეკეთებულია ისე, რომ უშიშრად შეიძლება გადასვლა. ბილეთები სოლოღლიდან ფოილოს ხიდამდე გაიყიდება სადგურზე.

◆ **დიდუბის მიწის ნაჭრები.** მთავრობის განკარგულებით გაუქმებულია რუსეთის ყოფილი მთავრობის ბრძანება, რომელიც შემდეგში რამდენიმეთ შესწორა ყოფილ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა და რომელიც ეროვნების და განურჩევლად დიდუბის მიწის ნაჭრების საიჯაროთ გაცემას ეხებოდა. მთავრობის განკარგულებით ძველი მოიჯარადრეები თავის ადგილებზე დასტოვეს. მიწად-მოქმედების სამინისტროს მიანიჭეს მიწაზე უფლება საიჯარო გადასახადი აკრიფოს საერთო საფუძვლების თანახმად, რომელთა მიხედვითაც ყველა სახელმწიფო მიწას იჯარით იძლევიან.

◆ **შრომის პირობების გაუმჯობესება.** „ჩვენო“-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა შრომის მინისტრის ამხანაგის წინადადებას ფოთში მარგანეცის გადამზიდველ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ უპასუხა, რომ ადმინისტრაცია მზად არის დაუყონებლივ შეუდგეს შრომის სამინისტროს მიერ აღნიშნულ საჭირო გაუმჯობესებათ, ე. ი. გახსნას აბანოები, ააშენოს ბარაკები, შეაკეთოს ფოთის მუშათა სახლი, გაადიდოს თანხა გადამზიდველთა სამკურნალოდ და დასახმარებლად, დაბოლოს გააუმჯობესოს შრომის ტეხნიკური პირობები.

◆ **მანუფაქტურა მცხოვრებთათვის.** სპარსეთ-კავკასიის საზოგადოების მიერ მიღებულია 40 მილ. მან. მეტი ღირებულების მანუფაქტურა. საქონელის გაყიდვას დაიწყებენ კოოპერატივების საშუალებით.

◆ **იტალიეთ-კავკასიის ბანკმა** ერობათა კავშირს და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას გაუხსნა კრედიტი რამოდენიმე მილიონ მანეთ ღირებულ საქონლით.

◆ **სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფ.** კავშირის გამგეობამ სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატთა საბჭოსთან ერთად უკანასკნელ სხდომაზე განიხილა სავაჭრო დარგში სავალდებულო დადგენილებანი. სხდომაზე აღნიშნეს, რომ ზოგი დადგენილება ძლიერ ავიწროვებს ვაჭრობის ისეთ დარგებს, როგორიც არის მაგ.: საყავე, საკანდიტორო, სასადილო და გასტრონომიული მაღაზიები, რომლებმაც უნდა ივაჭრონ დილის 8 ს.—1 საათამდის და დღის 4-ს საღამოს 7 საათამდე. ამ სავაჭრო დაწესებულებათა მეპატრონენი თხოულობენ, რომ ვაჭრობა სწარმოებდეს განუწყვეტლივ დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდის მოსამსახურეთა ორი შეცვლით. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფ. კავშირი მომხრეა შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მეპატრონეებმა თავის თავზე აღებული ვალდებულებანი შეასრულონ.

◆ **ოლღას საბებიო ინსტიტუტი** 23 მსმენელმა დაამთავრა: ოლღა არებიძე, ქსენია კილაძე, მარიამ კვირკველია, სეფორა სარჯველაძე, ... მინდაური, ანნა ილორამე, ... ვართქილაძე, ტერეზია ხუპენია, ნადეჟდა ჯიბუტი, არეთა მაჭარაძე, ოლღა კოპალეიშვილი, ელენა კალაძე, ლიუბა კილაძე, აგრაფინა იაშვილი, მარიამ სტურუა, თამარა შარაშიძე, ათინა ინწკირველი, ევგენია კალანდაძე, ქიონია ურუშაძე; საუკეთესოდ დაამთავრა ოთხმა: იარიამ ფარცვანიძე—მესხისა, ლიურია მუნდიკოვა, ალექსანდრა ბეჟუაშვილი და ნინა ხუნდაძე. გამოცდები 2 ივნისს დამთავრდა. გამოცდების დამთავრების შემდეგ მსმენელებმა გამართეს კრება, რომელზედაც მოწვეულ იქნა ლექტორი მეფისაშვილი. მსმენელებმა უკანასკნელს მხურვალე სიტყვა უთხრეს და უსურვეს დღეგრძელობა. მსმენელები მადლობას უცხადებენ ყველა მასწავლებლებს.

◆ **ბათომში** რადგან გაზეთების გამყიდველები იღებენ მეტს ფასს, „ერთობა“ და „ბორბა“ მოიკითხეთ მოსე რაზმაძესთან პეტროგრადის ქუჩაზე.

◆ **აჭარაში.** სარწმუნო წყაროებიდან თფილისის პრეს-ბიურო აუწყებენ, რომ ოსმალეთიდან აჭარაში გადმოსულა მრავალი ოსმალო აფიცერი, რომელნიც აჭარელებს დიდძალ იარაღს ურიგებენ. ოსმალო აფიცრებმა მოქმედება დაიწყეს ს. ქკანიდან, რომელსაც დაპირდენ, რომ „ლომის მთა“ და „ბახმარო“ აჭარას შეუერთდება. ეს აფიცრები აჭარაში ხსნიან შკოლებს, სადაც აჭარელების ბავშვებს ოსმალურ ენაზე ასწავლიან. ამას გარდა, ისინი ცდილობენ აჭარელებს ჩაუნერგონ სიძულვილი და ზიზღი ყოველივე ქართველისადმი.

◆ **ფრონტისთვის შესწირეს:** ჭიათურის შავი ქვის სატრანსპორტო საზ—ებამ—2 მილ. მან., ძმ. ხოდორსკებმა—50,000 მან. და „სამხრეთ კავკასიის სამრეწველო საზ—ბამ“-მ 50,000 მან.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ელისაბეთპოლში მყოფი 70 სომეხი-ლტოლვილი უფასოდ გაიგზავნონ სომხეთში.

◆ **მოწაფეების დათხოვნა.** შაბათს, 14 ივნისს, საზაფხულოთ დაითხოვენ ყველა მოწაფეებს.

◆ **ჩატანის** (ბორჩალოს მაზრა) თუჯის ქარხანის დასათვალიერებლად და ასამუშავებლათ ამ დღეებში მიემგზავრება საგანგებო კომისია.

◆ **ქართულ ტან-სავარჯიშო საზოგადოება** „შევარდენი“-ს ჩოგ-ბურთის ლაუნ-ტენისის სექცია აცნობებს თავის წევრებს, რომ განახლდა ჩოგ-ბურთის სისტემატიური თამაში და აგრეთვე ახალი წევრების მიღება. მიღების პირობების გაგება შეიძლება საზოგადოების შენობაში, კვირა დღით 11—3 საათამდე სექციის მდივანთან. საზოგადოების მისამართი: შევარდნის ქ. № 6. (ფრეილერის და ალექსანდროვის ქ. კუთხე).

◆ **ყველა სადალაქოები და პარიკმახერები** პირველ მაისიდან პირველ სექტემბრამდე ღია უნდა იყოს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 ს. და ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 7 საათამდე, პირველ სექტემბრიდან პირველ მაისამდე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 7 საათამდე. კვირა-უქმე დღეებში მუშაობა არ იწარმოებს.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, 9 ივნისს სახალხო სახლის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება შილლერის ცნობილი ტრაგედია „ყაჩაღები.“ მთავარ როლს კარლოსისას შეასრულებს პირველად ამ სეზონში მსახიობი ალ. იმედაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **გამოცდები ქართულ სამუსიკო** სასწავლებელში დამთავრდება 9 ივნისს, კვირას. 13 ივნისს, დღის 12 საათზე გაიმართება მოწაფეთა კონცერტები მოწაფეთა მშობლებისა და საზოგადოების წევრთათვის.

◆ **ქურდობა ამერიკულ კომიტეტის საწყობში.** ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულ კომიტეტის საწყობის გამგემ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა მოიპარეს საქონელი. მოპარული აღმოჩნდა სულ 50,000 მ. ღირებული სხვადასხვა საქონელი. ბოროტ-გამზრახველები—ნიკოლოზ გიორგის ძე განჩაროვი, იაკობ ივანეს ძე კრემენი, ნიკ. იაკობის ძე მარველოვი და ალექსანდრე იაკობის ძე ქილრიხინი დაპატიმრებულნი არიან და საქმე გადაცემულია გამომძიებლათ.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** მომავალ სექტემბრიდან იხსნება თვალის ავადმყოფობათა კლინიკა. სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო მიზნით ევროპაში გზავნის თვალის ავათმყოფობის ცნობილ ექიმს ვ. მუსხელიშვილს.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს შეველოვის გასტროლი: 1) „ტრავიატა“, 2) „თავადი იგორი“. პარასკევს, 11 ივნისს—მეორე გასტროლი ნანობაშვილისა „ტოსკა“; კვირას, 13 ივნისს,—მესამე გასტროლი ნანობაშვილისა—„ჰუგენოტები“.

◆ **გორის ფონდი.** ავჭალის წყალსადენის დღიური მუშებისაგან მივიღეთ 1,500 მ.

◆ **ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებლათ,** საჭიროა აგენტები ახ. სენაკში, ოჩემჩირეში, საჩხერეში, სურამში, ხაშურში, სუჯუნაში, სამტრედიაში, ბორჯომში, წალენჯიხაში, ბაკურიანში, ბახმაროში ხიდისთავში და აბასთუმანში. აგენტს გაეგზავნება თფილისის ყველა ჟურნალ-გაზეთები და ახლად გამოსული წიგნები. ფული უნდა გამოიგზავნოს წინდაწინ კანტორა „განათლება“-ს სახელზე.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, ივნისის 9-ს, საღ. 8 ნახ. საათ. ბოტანიკის აუდიტორიაში აგრონომ-ბუნების-მეტყველ სტუდენტთა სამეცნიერო—საექსკურსიო წრის გამგეობა იწვევს წრის წევრთა საერთო კრებას.

— ქალაქთა კავშირის მთავარი კო-

მიტეტის დადგენილებით ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა ივნისის 8-ის მაგიერ შესდგება ივნისის 16-ს.

## სალამი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა და ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლების საგანგებო თათბირი სალამს უძღვნის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, რომელთაც საკუთარის სისხლით დაამტკიცეს სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება. თათბირს სჯერა, რომ რესპუბლიკის მხედრობა კვლავაც მედგრად იბრძოლებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტერთა წინააღმდეგ და არავის მისცემს ნებას თავისუფალ რესპუბლიკის წყობილების შელახვისას. დღეს მთელი გულისყური მუშათა კლასისა ფრონტისაკენ არის მიპყრობილი, ფრონტის გამარჯვება—ჩვენი გამარჯვებაა და მუშათა კლასი გამარჯვებისთვის ყოველთვის გაუმაგრებს ზურგს ჩვენს მხედრობას".

## ბალშევიკების ახალი ოინები ჩვენში

ძველ, ჩვეულებრივ ოინებს ბალშევიკებმა ახალი დაურთეს. ერთ-ერთი ოინი გახლავთ ჟურნალი „რაბოტნიკ"-ის გადმოზიდვა რუსეთიდან და საქართველოში გავრცელება იმ მიზნით, რომ მასსას დაუმტკიცონ, თუ როგორი სიიაფეა რუსეთში. საბუთი ის არის, რომ ჟურნალს აწერია ფასი ერთი მანეთი. ასე დიდი ჟურნალი რუსეთში 1 მანეთი ღირს, მაშასადამე, იქ სიძვირეზე ლაპარაკი არ შეიძლებაო,—გაიძახიან ისინი; აქაც რომ კომუნისტები იყვნენ, —ასეთივე იაფობა იქნებოდაო. აქ კი „ეშმაკის მათრახი" ათი მანეთი ღირსო და სხვ. მაგრამ ჩვენი დემოკრატია ასეთი ოინებით არას დროს არ მოსტყუვდება...

რუსეთის კომუნისტურ მთავრობას დიდი საგანგებო ფონდი აქვს ამ მიზნისათვის და შეუძლია ჟურნალს ორი შაურიც დააწეროს ფასი. ეს ნიკოლოზის დროინდელი პოლიტიკაა. ასეთი ჟურნალ-გაზეთები მუდამ საჭიროა, როდესაც მთავრობა ხალხის დიდ უმრავლესობას სიმართლეს უმალავს. ამავე მიზნით და საშუალებით ბევრი გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთებიც ნიკოლოზის დროს, მაგრამ ასეთი პრესა ჩვენს დემოკრატიულ საქართველოს არა სჭირდება, ვინაიდან მთავრობა დემოკრატიულია, ხალხური.

თქვენი დაჩლუნგებული ხმალი ბ. ბალშევიკებო ქართველი დემოკრატიის წინააღმდეგ არა სჭრის!..

**მუშა—ბარცხანელი.**

## კულტ. მუშაობა ჯარში და გვარდიაში

**მესხეთ ათასეული** 7 ივნისს დილის 11 ს. ათასეულის თეატრში საუბარი გამართა ჯარის-კაცებთან ათასეულში სპეციალურად განმანათლებელ მუშაობისათვის დანიშნულმა მასწავლებელმა სავლე აბულაძემ. საუბარს ბევრი ჯარისკაცები ვერ დაესწრო რადგან სხვებთან ერთად ჩვენი ათასეულის ჯარის-კაცებიც იცავენ რესპუბლიკის საზღვრებს. მასწავლებელმა მდაბიო ენით განმარტა ჯარში სწავლა-განათლების მნიშვნელობა და მისი აუცილებელი საჭიროება. საუბრით ყველა ჯარისკაცები ძლიერ დაინტერესდენ. მართალია, ათასეულში ბევრია წერა-კითხვის მცოდნენი, მაგრამ ბევრია აგრეთვე სრულიად უსწავლელი, რომლებსაც დღემდე არც უფიქრნიათ სწავლაზე, მაგრამ ასეთი განმარტების შემდეგ ყველანი მზათ არიან მართლაც გამოიყენონ სამსახურში თავისუფალი დრო ცოდნის შესაძენად.

მართალია, დღემდე განმანათლებელი საქმე ათასეულში ვერ იყო სათანადოთ მოწყობილი, რადგან არ იყო სპეციალურათ ამ საქმეზე დანიშნული კაცი. ეხლა კი, როდესაც დაინიშნა კულტურულ-განმანათლებელი სექციის მიერ ზემოხსენებული მასწავლებელი, ჩვენ საშუალება გვეძლევა გაზეთებიდან გავიგოთ ჩვენი რესპუბლიკის და მისი მეზობლების ჭირ-ვარამი. ათასეულს ყოველ-დღიურად მოსდის რამოდენიმე ცალი „ერთობა", „სახალხო საქმე" და ჟურნალი „მხედარი", ათასეულს უკვე აქვს აგრეთვე საკუთარი თეატრიც.

**კაკი ფ.**

## წერილები ფრონტიდან

1

საჩუქრებისთვის სულითა და გულით ვუძღვნით დიდ მადლობას ჩვენს მოწაფეებს, რომლებმაც მოგვაწოდეს პატარა პარკებით თხილი, ჩირი, ჩაი, შაქარი, კამფეტი, პაპიროზი, თუთუნი, კონვერტები, ქაღალდი, ყარანდაშები, გალეტი, ნუშის გული და სხ.

მივიღეთ ყველაფერი. მადლობას გწირავთ და სალამს გიძღვნით ფრონტიდან №... რაზმის მერვე გუნდის ჯარისკაცები.

**მონდ. სილიბისტრო ა. მალრაძე.**

2

3 თიბათვეს თფილისიდან გვეწვიენ ძვირფასი სტუმრები საჩუქრებით. საჩუქრების დამრიგებელ კომისიას სათავეში უდგა ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ს. ვ. ჟორჟოლიანი, კომისიის წევრებათ იყვნენ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელი ბ. ნ. თავდგირიძე, ბ. გ. ანდღულაძე, ქ. ქ. ქავთარაძის ასული, თარხნიშვილის ასული და ანდღულაძის ასული. მეტია მაზე ლაპარაკი, თუ როგორი სიამოვნება და კმაყოფილება გამოიწვია საჩუქრებმა აფიცერთა და ჯარისკაცთა გულში. ყველა კმაყოფილებას გრძნობდა ჩვენი ღვიძლი დების და ძმების ჩამოსვლით. ფრონტმა იგრძნო, რომ ხალხი მასთან არის.

ლაშქარი ძლიერია მაშინ, როდესაც მას აქვს კავშირი ხალხთან, როდესაც ლაშქარი ასრულებს იმას, რაც ხალხს სურს. ყველაფერი ეს იყო აღბეჭდილი ჩვენი სტუმრების ჩამოსვლაში.

სხვათა შორის, ბ. ნ. თავდგირიძემ მხედრებისადმი მიმართვაში სთქვა, რომ იგი ნათლათ ხედავს ყველა ჩვენ შევიწროვებას და მასთან ერთად სწუხს, რომ განგებამ მასაც არ არგუნა მუშაობა ჩვენთან ამ დიად პატივსაცემ სამსახურში, რომელიც გამოიხატება სამშობლოს დაცვაში.

დიახ, ეს დღე ჩვენთვის მართლაც სადღესასწაულო დღე იყო. ჩვენი მადლობა იქნება გამაგრება და სამშობლოს სადარაჯოზე ერთგულათ და შეუდრეკელათ დგომა.

№-ის ლაშქრის უფროსი პოლკოვ. **ჩხეიძე.**

## ფრონტისათვის

ვინაიდან ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს შეკითხვები მოსდის იმის შესახებ, თუ ვინ აწარმოებს ლაზარეთებსა და საავადმყოფოებში მოთავსებულ ომში დაჭრილთა და დასნეულებულთა კერძო დახმარებას, ზნეობრივისა და მატერიალური მხარეების მიწვდენით და ვინაიდან პრესაში შეცდომით იყო აღნიშნული ამ მუშაობის შესახებ ცნობები, მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ თფილისში, ყველა საავადმყოფოებში ამ დარგში მუშაობა სწარმოებს მთავარ კომიტეტის ინიციატივით, ხარჯებითა და საშუალებებით, რომელ მუშაობასაც უმთავრესად ასრულებს სანდრო მაისურაძის სახელზე არსებული სამკითხველოს გამგეობა კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.

ფრონტის მთავარი **კომიტეტი.**

— ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი მადლობას უცხადებს თფილისის ვაგზლის კომენდანტს მაიორ ნიკოლაძეს, სადგურის ადმინისტრაციას და სადგურ სადა[..]ლოს მომუშავეთ იმ ხელის შეწყობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს კომიტეტის მიერ საჩუქრებიან ტრანსპორტის დანიშნულებისამებრ ფრონტზე გაგზავნის საქმეში.

## მადნეულობა

ფინანსთა მინისტრმა დამფუძნებელ კრებაში შეიტანა კანონ-პროექტი მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადების შესახებ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტის პირველი და მეხუთე მუხლთა განსავითარებლათ აღიარებულ იქნას: 1) ყველა მიწების გული და მადნეულობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნას სახელმწიფოს საკუთრებათ 1917 წლის 16 დეკემბრიდან.

**შენიშვნა:** გამონაკლისს შეადგენენ ჩვეულებრივი თიხა და ქვიშა, ხრეში და საშენებელი ქვა.

2) გაუქმებულ იქნეს ყველა, ამ კანონის დამფუძნებელ კრების მიერ მიღების დღემდე გაცემული ნებართვის მოწმობა. მიჩენის აქტი და საიჯარო ხელშეკრულება, რომელთა ძალით კერძო პირთ, ამხანაგობათ და საზოგადოებათ უფლება ეძლოდათ სახელმწიფო მიწებზე კვლევა ძიებისა, ან დამუშავებისა, და აგრეთვე ყველა სხვა ხელშეკრულებანი და ნებართვანი კერძო მესაკუთრეთა მიწების გულის და მადნების დამუშავებისა.

3) ჭიათურის და სხვა სამთა-მადნო მრეწველურად განვითარებულ რაიონების მრეწველთ რჩებათ უფლება იჯარით აღებისა მთავრობისგან იმ მადნების დამუშავების, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ ამ კანონის დამფუძნებელ კრების მიღების დღემდე, საკუთრების ან საიჯარო უფლების ძალით.

**შენიშვნა:** ხსენებულ რაიონების მადნების მესაკუთრეებს ნორმის ფარგლებში მიეცემათ საფონდო მიწებიდან სამაგიერო ნორმა, რომელიც განისაზღვრება განსაკუთრებული წესით.

4) მთავრობას უფლება ეძლევა გაავრცელოს მესამე მუხლში აღნიშნული უპირატესობა სხვა სამთო-სამრეწველო რაიონების მწარმოებლებზედ და მადნეულობის მესაკუთრეებზე.

## სურსათის საკითხი

ამ ბოლო ხანებში თფილისში შენიშნულ პურის ფასის გაძვირების გამო, მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ი. ჭავჭანიძემ, საქ. დეპ. საგ. თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მთავრობის დაწესებულებანი იღებენ საჭირო ზომებს მოსპონ დაბრკოლებანი მცხოვრებთათვის პურის მიწოდების საქმეში. შენიშნული დაბრკოლებანი აიხსნება იმით, რომ დასავლეთ საქართველოში გვალვები იყო და აგრეთვე მით, რომ კახეთი დაზარალდა სეტყვით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა მომარაგების სამინისტროს მისცეს 60,000 ფუთი პური პროვინციის მცხოვრებთა საჭიროებისათვის. ასეთ რაოდენობას ითხოვს იგი თფილისის მცხოვრებთა საჭიროებისათვისაც. იტალიიდან მოველით პურის დიდ პარტიას, რაც მომარაგების სამინისტროს მისცემს საშუალებას გაუწიოს მცხოვრებთ ფართო დახმარება პურის მიწოდებით, ამავე დროს, რომ მცხოვრებლებს დროზე მოაწოდოს პური, მომარაგების სამინისტრო საქართველოშივე 500,000 ფუთ პურს ამზადებს.

თფილისის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების გამგეობა პანიევის აზრით პურის ფასის აწევის ერთი მიზეზთაგანი არის სპეკულიაცია ფქვილის მეპატრონეებისა. მათ სურდათ გამოეყენებიათ უკანასკნელი შექმნილი მდგომარეობა, რის გამოც, რასაკვირველია, სოფლიდან პურის გამოტანა საგრძნობლათ გაძნელდა. გარდა ამისა, უარყოფითი გავლენა იქონია აგრეთვე სეტყვამ, რომელმაც ძლიერ დააზიანა პურის მოსავალი. მოუსავლობის შიში აიძულებს გლეხებს ჯერჯერობით გადაინახონ ზედმეტი პური. მაგრამ ამ ჟამად მიღებულია ყველა ზომები თავისუფალ ვაჭრობაში პურის ფასის მოსაწესრიგებლად.

სხვა ზომათა შორის აღსანიშნავია ქალაქის პურის ბირჟის მოწყობა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, პურის კანტორის მოწყობა, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენს პურის საქმის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც პური აცდება შუამავალთა ხელს და უშუამავლოდ, პირდაპირ გადავა პურის მცხობელთა ხელში. შუამავალთა მოსპობა იმოქმედებს პურის გაიაფებაზე. ბირჟის შემადგენლობა მოეწყობა პარიტეტულ საფუძველზე, სასურსათო განყოფილებიდან და პურის მცხობელთა საზოგადოებიდან. ბირჟის ხელქვეით იქნება პურის ხორბლის და ფქვილის ყიდვა-გაყიდვის მოწყობა თფილისში. ეს გეგმა შემუშავებულია პურის მცხობელთა საზოგადოებასთან შეთანხმებით, რომელიც თვით იყო დამოკიდებული ამდენხანს შუამავლებიდან. ბირჟა ალბათ, ამავე კვირაშივე გაიხსნება. დაწესებული იქნება თავისუფალი ფასები. ახალი ორგანოს არსებობა უსათუოდ ამ დღეებშივე მოახდენს გავლენას პურის ფასის დაწევაზე.

5 ივნისს დაბრუნდა კახეთიდან სამსახურის გამო გამგზავრებული მომარაგების სამინისტროს სასურსათო განყოფილების დირექტორი, რომელმაც დაიარა მოსავლიანი რაიონები იმის გასაცნობად, თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს. მიღებულ ცნობების თანახმად საერთოდ კახეთში—მოსავალს კარგი პირი უჩანს. მართალია, დათესილ ყანების ნაწილი დაიღუპა სეტყვით, მაგრამ წელს კახეთში მეტი მიწა იყო დათესილი, ვიდრე შარშან, ამიტომ მიუხედავათ პატარა მოუსავლობისა, წელს საერთოდ მოსავალი მაინც გადააჭარბებს შარშანდელს. პირველად გლეხებმა დაიწყეს პურის გადამალვა, მაგრამ როდესაც დარწმუნდენ, რომ მოსავალი კარგი იქნებაო, ისევ გამოუშვეს პური ბაზარზე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ახლო დღეებში ისევ გაძლიერდება თფილისში პურის შემოტანა. (სდს).

## უცხოეთი

**ამერიკა.**

**მოსალოდნელი კრიზისი.** ყოფილ სენატორმა ბერიჯმა განაცხადა, რომ საგარეო ვაჭრობის შემცირების გამო ორ წლის შემდეგ უმუშევართა რიცხვი 15 მილიონამდე გაიზრდებაო. უმუშევრობას რამოდენიმედ ხელს უწყობს ხშირი საზოგადოებრივი მოძრაობა. ამ მხრივ დიდი გავლენა იქონია რკინის გზელთა გაფიცვამ. ეს გაფიცვა 3 კვირის განმავლობაში ჯდებოდა დღიურათ 1.200.000 გირვანქა სტერლინგი. ამაში არ შედის მთავრობის მიერ გადახდილი 25.00.000 გირ. სტ. და სხვა საერთო ხასიათის დანაკლისი წარმოებისა. გამოცდილი პირების აზრით ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი ფინანსიური კრიზისი. ერთ-ერთ ბანკირმა განუცხადა „ტაიმსის" თანამშრომელს, რომ ომის შედეგები ამერიკაშიაც იჩენს თავს. ბანკებში ბევრი სესხის ბილეთებია, რაც ჯერ სახელმწიფოს არ გაუნაღდებია. მათი ღირებულება მილიარდ გირვანქას აღემატება. უკანასკნელად გამოიცა 600,000,000 გირ. სტ. ვალდებულება. მიმდინარე წელშიაც ამდენია მოსალოდნელი.

**გერმანია.**

**პირველ მაისის ლეგალიზაცია ბადენში.** ბადენის მთავრობის განკარგულებით პირველ მაისის დღესასწაული ჩარიცხულ იქნა სავალდებულო დღესასწაულთა რიცხვში. ამის გამო პირველ მაისს დახურული იქნა ყველა საჭაეროები, სასწავლებლები და სახელმწიფო, თუ საზოგადო დაწესებულებები.

**ინგლისი.**

**მუშათა დელეგაციის შემადგენლობა.** ჰოლლანდიის პრესა იტყობინება იმ დელეგაციის შემადგენლობას, რომელიც ამ ჟამათ რუსეთში არის. დელეგაციის უმრავლესობას მუშათა პარტიის ზომიერ მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები შეადგენენ; ორი წარმომადგენელი უკიდურეს მემარცხენე ფრთიდან. მუშათა პარტიიდან დელეგაციაში შედიან: ფილიპე ნორდენი, რობერტ ვილიამსი, ბენ ტურნერი და ტომ შოუ და სამი წარმომადგენელი ინგლისელ ტრედ-უნიონებისა.

**საფრანგეთი და პოლონეთი.** ფიქრობენ რომ საფრანგეთი თავის ჯარებს გაგზავნის პოლონეთის დასახმარებლათ.

**საფრანგეთი.**

**ანტანტა და საბჭოთა რუსეთი.**

ფრანგული გაზეთების გადმოცემით კრასინმა ლოიდ ჯორჯთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მზათ არის გაანთავისუფლოს ინგლისელი ტყვეები და მომავალშიაც შეეცდება არ მოუმზადოს საფრთხე ინგლისის ინტერესებს აღმოსავლეთში. ამავე გაზეთის გადმოცემით მილიერანმა გადასცა კონფერენციაზე დამსწრე საფრანგეთის დელეგატს, რომ არ შეუერთდეს არას გზით ისეთ დადგენილებას, რომელიც იგულისხმებს თუნდაც არა პირდაპირ აღიარებას საბჭოთა რუსეთისას.

**სომხეთი.**

**არზრუმში.** „არაჩის" გადმოცემით არზრუმში მდგომარეობა მეტად გამწვავებული და არეულია. ადგილობრივ ოსმალოებში, ურთიერთ შორის დიდი უთანხმოებაა, რასაც დღეში ათობით მოსდევს მსხვერპლი. ბევრი თურქი აჩებებს თავს არზრუმს და სახლდება სტამბოლში, სამსუნში, და სხვაგან. ინგლისელები ცოტანი იყვნენ არზრუმში, ახლა კი, მათი რიცხვი გაიზარდა. არზრუმში 900 ტყვე სომეხი არის ალექსანდროპოლის მაზრიდან. სხვა მაზრებიდან დატყვევებულთა რიცხვი არ არის გამოკვლეული. სომეხ ტყვეებს მძიმე სამუშაოს ასრულება უხდებათ. მათ ეძლევათ მხოლოდ ნახევარი გირ. პური. ტყვეებათ არიან სომეხი ქალებიც.

**ყულფის რაიონში.** ერევანში მიღებულ ცნობების თანახმად ყულფის რაიონს სცლიან ოსმალნი, რომლებიც გროვდებიან მაკინის რაიონში.

**ამიერ-კავკასიის რუსთა ნაციონალურმა** საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სომხეთის მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელმა ნება დართოს მათ გაგზავნონ დელეგაცია ყარსში და ერევანში, რომლებიც გაეცნობიან ადგილობრივათ საქმის ვითარებას და მიიღებენ ზომებს, რომ საგანგებო სასამართლოები გაუქმებულ იქნას.

სომხეთის მთავრობამ უპასუხა ნაციონალურ საბჭოს, რომ მთავრობა დაუშვებლათ სთვლის ჩაერიოს ვინმე მის შინაურ საქმეებში. არის სრული გარანტია იმისა, რომ დადგენილებები საგანგებო სასამართლოსი მიუდგომელი და სამართლიანია. რაც შეეხება რეპრესიებს, იგი მიმართული იქნება ყველა აჯანყებულებისადმი, განურჩევლათ ეროვნებისა—იქნებიან ისინი სომხები თუ რუსები. მთავრობა არ სცნობს საჭიროთ, რომ აღძრული საქმეების გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ რუსთა ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენლებმა. აგრეთვე სომხეთის მთავრობას დაუშვებლათ მიაჩნია შუამდგომლობა რუსთა საბჭოსი შესახებ საგანგებო სასამართლოების დადგენილებათა.

## ქალაქის საბჭოში

7 ივნისს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობდა **ალ. ლომთათიძე.**

საბჭომ უკამათოდ მიიღო გამგეობის შემდეგი მოხსენებები: 1) „ფრონტის დამხმარე კომიტეტის" განკარგულებაში 100,000 მან. გადადების შესახებ. 2) მოხუც და უპატრონო ქალთა შესანახათ შრომისა და სოციალურ დახმარების სპეციალურ თანხიდან 15,000 მ. გადადების შესახებ. 3) შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების სპეციალურ ფონდიდან უფასო სასადილოების ხარჯების ასანაზღაურებლათ ყოველთვიურათ 19,200 მან. გადადების შესახებ. 4) უიმედო მოვალეების სხვადასხვა საქალაქო გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ.

შემდეგ გამგეობის მოხსენებითვე საბჭომ დაადგინა: 1) ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურზე არსებული ნიხრი გადიდებულ იქნას და გაუთანასწორდეს სასაკლაოზე საქონლის გასინჯვის დაკვლის ნიხრს.

2) ქალაქის ლაბორატორიაში რძის გასინჯვის, აღნუსხვისა და სათანადო მოწმობის მიცემის ფასი გადიდებულ იქნას 4-დან 20 მანეთამდე.

მცირე კამათის შემდეგ საბჭომ აგრეთვე დაადგინა მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის მამული შეძენილ იქნეს შესყიდვით 3 მილიონ მანეთად ქალაქის საჭიროებისათვის.

საბჭომ მოიწონა გამგეობის მოხსენება სოციალურ დახმარების დროებითი წესების განხორციელების შესახებ.

ქალაქის გამგეობას ნება მიეცა შეიძინოს სასაკლაოზე ძეხვების დასამზადებელი მექანიკური ქარხანა 248,525 მანეთად.

საბჭომ დაადასტურა გამგეობის დადგენილება 26 მაისს ქალაქის გასამშვენიერებლათ 75,000 მან. გადადების შესახებ.

ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ ხმოსნები: ვეფხვაძე, ვ. ათაბეგი, ნ. ძიძიშვილი, დ. ვაჩნაძე და ერთიც გამგეობის წევრი.

დასასრულ, საბჭომ დაავალა გამგეობას აამოძრავოს თფილისის ფუნიკულიორი, რისთვისაც გადაიდოს ქალაქის სალაროდან 300,000 მ., ხოლო დანარჩენი საჭირო თანხა შესაფერი ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემდეგ. თუ ამის შემდეგ კონცესიონერებმა არ დააბრუნეს ეს ფული, ქალაქმა თვით აიღოს თავის ხელში ფუნიკულერის ექსპლოატაცია.

## შრომის სამინისტროში

**სოხუმის მუშათათვის მომარაგების მოწყობა.**

აფხაზეთის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი დეპეშით შეეკითხა შრომის სამინისტროს და აცნობა, რომ სიძვირის, შრომის და მომარაგების ფონდის სოხუმში უმოქმედობის გამო მას საჭიროთ მიაჩნია მუშებისთვის ხელფასის მომატება და შეეკითხა, განზრახულია თუ არა ასეთი მომატება.

შრომის მინისტრის ამხანაგმა უპასუხა, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა დროს ხელფასის მომატება განაახლებს იმ ქაოტიურ მდგომარეობას, რომელიც სატარიფო პალატის დაარსებამდე სუფევდა, უფრო ხელს შეუწყობდა ფასების ხელოვნურ ზრდას და მუშათა კლასს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამიტომ სოხუმის მუშებისთვის ჯამაგირების მომატების საკითხი დაკავშირებულია საერთოდ მთელ რესპუბლიკაში ჯამაგირების მომატების საკითხთან; მაგრამ შექმნილ პირობებში უდროვოა ტარიფების გადახედვის საკითხის აღძვრა.

შრომის მინისტრის ამხანაგმა ამავე დროს აუწყა, რომ მიღებულია ზომები, რათა დაუყონებლივ მოეწყოს სოხუმის მუშებისათვის პირველ საჭიროების საგნების მიწოდების საქმე.

ამასთანავე შრომის მინისტრის ამხანაგმა წინადადება მისცა სოხუმის შრომის კომისარს, თავის კანცელარიასთან მოაწყოს მუშათა მაგიდა მუშებისთვის პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ.

## სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წ. ივნისის 11 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

1) საქმე იოსებ ჯანდიერის კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთიდან" დასახელებული საზოგადოების გამგეობის წევრობიდან ამორიცხვის უკანონობის თაობაზე.

2) საქმე ლევან ანდრონიკოვის და ირაკლი ამირაჯიბის სამხედრო სამინისტროსთან 288250 მანეთის თაობაზე.

3) საქმე ალექსანდრე ბერიაშვილის მაკრინე ჩაგუნავასთან გავლის უფლების თაობაზე.

4) საქმე ფარნა და ქიტო ჩუბუებისა სოლომონ და სხვ. დგებუაძეებთან წისქვილის თაობაზე.

5) საქმე ნატალია ბაიკოვისა ევგენი ხახლოვთან ბინის დაცლის, ბინის და ავეჯის თაობაზე.

6) საქმე დუსა კიგილაშვილისა ნიკა კვირიკაშვილთან მამულზე მფლობელობის დარღვევის თაობაზე.

7) საქმე იოხიმ კოზლოვსკისა ანნა ზილბერმანთან 500 მან. და აღმასრულებელ ფურცლის გადახდილად ცნობის თაობაზე.

8) საქმე დიომიდე დოლიძისა ნიკოლოზ არლოვთან მიწის თაობაზე.

9) საქმე იოსებ შაბანოვის, მილოვის და ფირალოვის ქარვასლაში მაღაზიის დაბრუნების თაობაზე.

10) საქმე იოსებ ჩულაშვილისა ნუშა (იგივე მარიამ) ჩულაშვილთან 4000 მანეთის თაობაზე.

## პროფ. კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია

კვირას, 6 მაისს, ღამის 11 საათზე დასრულდა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალ. საბჭოსი და პროვინციალურ საბჭოთა წარმომადგენლების გაფართოებული თათბირი.

სულ მოხდა 4 სხდომა, რომლებზედაც მოასწრეს დღიურ წესრიგის სავსებით ამოწურვა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) შრომის კანონი, 2) ხატარიფო პალატის ლეგალიზაცია, 3) მუშათა კლასი და კოოპერაცია, 4) მუშათა პრესა, 5) 5 პროცენტიანი გადასახადი, 6) მიმართვა რუსეთის პროფ. კავშირებს, 6) მუშათა დელეგაციის გაგზავნა უცხოეთში, 8) აღმასრულებელი კომიტეტის შეკრება და 9) წვრილი საკითხები.

**მოხსენებები ადგილებიდან.**

ამხ. **ცენტერაძე.** რკინის გზელთა კავშირი აერთიანებს 13 მუშა-მოსამსახურეს. როგორც იდეურათ, ისე ფინანსიურათ, ეს კავშირი ყველაზე ძლიერია. საექიმო-სასანიტარო საქმე კავშირის ხელშია. აქვს სამარხი კასა. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა. იცემა ჟურნალი, იხსნება კლუბები და შკოლები. რკინის გზელები ძალიან ცოტა ჯამაგირს იღებენ 1920—3640 მანეთამდე. სახელმწიფო-საზოგადოებრივი ინტერესების გამო რკინის გზელები იტანდნენ თავის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ მომარაგების ფონდის შედარებით სუსტ მუშაობამ და ზღაპრულმა სიძვირემ აიძულა ისინი დღის წესრიგში დაეყენებიათ ხელფასის მომატების საკითხი.

ამხ. **სიხარულიძე.** (ქუთაისი). რადგან ქუთაისში მრეწველობა არ არის განვითარებული, პროფესიონალური მოძრაობა სუსტია. შეკავშირებულია სულ 2500 მუშა 16 კავშირის სახით. ხშირათ ხდება, რომ ერთი პროფესიის მუშების სრულიათ სხვა პროფესიის მუშებთან გვიხდება შეკავშირება. აქტიურ მომზადებულ პირთა სიმცირის გამო კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება სუსტია. მუშათა კლუბი თავის სიმაღლეზე არა სდგას. ეკონომიური საკითხი ძალიან მწვავეთ სდგას. ჯამაგირების გადიდების საკითხი არა ერთხელ აღიძრა სახელმწიფო დაბალ მოსამსახურეების მიერ, მაგრამ ისინი შევაჩერეთ. ქუთაისის პროლეტარიატს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, რომ მომატება პროცენტების მიხედვით უფრო მეტი ენიშნებოდეს იმას, ვინც უფრო ნაკლებს ღებულობს.

ამხ. **გოგიბერიძე.** (ფოთი) პროფეს. კავშ. საბჭო აერთიანებს 14 კავშირს, რომელშიაც 2500 მუშა ითვლება, მტკიცედ არიან შეკავშირებული. მუშებს აქვთ საკუთარი კოოპერატივი, რომლის პაიები 1500 მან. უდრის, კოოპერატივი ფართედ მოქმედებს. მომარაგების ფონდის განყოფილება ფოთში გირ. პურს 8 მან. აძლევს მუშებს, ომის გამოცხადებისას დამტვირთველთა კავშირმა 200 კაცი გაგზავნა გვარდიაში. განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან მეზღვაურები და ხერხის ქარხნების მუშები. ფოთის საბჭო მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში მოწესრიგდეს ამ მუშების მდგომარეობა.

ამხ. **მ. ლობჟანიძე.** ჭიათურაში 8 კავშირია. 2000 მუშას აერთიანებს. მეტად საგრძნობია კულტურულ ძალთა სიმცირე. მუშების ნივთიერი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ისინი მოითხოვენ არა ხელფასის მომატებას, არამედ მომარაგების ფონდიდან მეტი სურსათის მიცემას, სურსათის განაწილება მუშათა კოოპერატივებს უნდა გადაეცეს. მუშების თვიური ხელფასი 2500 მან. არ აღემატება.

ამხ. **შალვაძე** (ტყიბული) 1200 მუშა გაერთიანებულა ერთ კავშირში, რომელსაც აქვს საავადმყოფო კასა, 3 სამკითხველო და მუშათა კლუბი. წერა-კითხვის კურსების მოწყობა ვერ მოხერხდა, რადგან მუშების უმრავლესობა გლეხებია, რომლებიც მუშაობის გათავების შემდეგ სოფლად მიდიან. ნივთიერი მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. სპეციალისტი-მუშები ღებულობენ დღეში 99 მან., არასპეციალისტები—77 მან., მომარაგების ფონდის მუშათა მაგიდა კარგათ ვერ მოქმედებს. უნდა [...] ერთი გარემოება: მუშები [...] დაწყების მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ეძლევათ სურსათი.

ამხ. **ზაქრაძე.** ბორჯომში არის 2 კავშირი 1200 წევრით. ხელფასი უდრის 1700—3000 მან. თვეში. მუშები ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან. მუშათა მაგიდა ჯერ არ მოქმედებს. გახსნილია სამკითხველო და მუშათა კლუბი, მაგრამ საგრძნობია მომზადებულ მუშათა ძალების სიმცირე.

(შემდეგი იქნება).

## 26 მაისობა

**პროვინციაში.**

**სოხუმი.** საქართველოს დამოუკიდებლობის 2 წლის თავი დიდი ზეიმით აღინიშნა სოხუმში. ზეიმს ამინდმაც ხელი შეუწყო. თავისუფლების მოედანზე დილიდანვე დაიწყო ხალხმა დენა. თუმცა ჯარების პარადი დანიშნული იყო 12 საათზე, მაგრამ ხალხმა დილის 10 საათიდანვე იწყო დენა მოედნისაკენ და 11 საათზე მოედანი გაჭედილი იყო ხალხით. ზეიმში მონაწილეობას იღებდენ ყველა მცხოვრებნი, განურჩევლად პარტიისა და ეროვნებისა. 12 საათზე დაიწყო პარადი სახალხო გვარდიის და ჯარის, რომელიც მიიღო კომისარიატის თავმჯდომარე დ. ქ. ემუხვარმა. 12 ნახ. საათზე გაიხსნა მიტინგი. მიტინგი გახსნა ქალაქის გამგეობის წევრმა მხეიძემ, რომელმაც აღნიშნა რა ამ დღის მნიშვნელობა, მოუწოდა ხალხს აღნიშნონ საქართველოს დამოუკიდებლობის და თავის უფლებისათვის მებრძოლთა ხსოვნა. ყველანი ქუდებს იხდიან და გაისმის სამგლოვიარო ჰიმნი, რომელიც შეასრულა ორკესტრმა. შემდეგ ილაპარაკა კომისარიატის თავმჯდომარემ ემუხვარმა. მის სიტყვას ხალხი ტაშის ცემით ეგებება, ორკესტრი ასრულებს ეროვნულ ჰიმნს. აფხაზეთის სახალხო საბჭოს სახელით ილაპარაკა მ. უბირიამ, ქალაქის თვითმართველობის სახელით—ლ. ნოვიკოვმა, ჯარის სახელით—კაპ. ანჩაბაძემ.

საღამოთი ადგილობრივ თეატრში გაიმართა დიდი საღამო, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. მთელი დღის განმავლობაში მაღაზიები და რესტორანები დაკეტილი იყო. შენობები მორთული იყო ყვავილებით. მთელი დღის განმავლობაში ქუჩებში სიმხიარულე იყო. წესრიგი ყველგან საუცხოვო იყო.

## თიანეთის მაზრის ერობა და გ-ნი იკოთელი

(დასასრული)

ხმოსანმა ჯიბლაძემ კი ახლა თავისი საქმე სხვა გზით განაგრძო: გამგეობამ დანამდვილებით იცის, რომ ჯიბლაძემ ხელში ჩაიგდო კაკაბაძის ის მონაწერი ორი ქაღალდი, რასაც ახლა იკოთელი აქვეყნებს „სახ. საქმეში". ეს მონაწერები ჯიბლაძეს ერობაში ჩუმად გადასცა მისი პარტიის ერთგულმა კაცმა ერობაში მოსამსახურე პირმა (ჯიბლაძე ფედერალისტია).

იკოთელი სწერს: „თქვენ მასწავლებლებად გყავთ მკერავები, მეწისქვილენი და ვინ იცის კიდევ ვინ". მიუმატეთ ამას კიდევ უვიცი კაკაბაძეო. ერთ და იმავე პირს სხვადასხვა ადგილზე ასაღებს იკოთელი. სინიდისი? ნამუსი? იცნობს იქნება თიანეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგე ხმოსანი ვასილ ჯიბლაძე ამ ტყუილის დამწერს იკოთელს? ჯიბლაძეს ხმოსნის წოდება ავალებდა, რომ მის მიერვე დაწესებული საკანცელარიო გადასახადი შეეტანა ერობაში, თუ მას ამ მოხსენების ასლები უნდოდა. მან ეს არ ინება, ჩუმად გატანა ამჯობინა და ერობას დაუკარგა 64 მანეთი. ამის შემდეგ გვეტყვის კი ის, თუ ვინ არის იკოთელი?

ინსტრუქტორი მძიმე ბარგათ აწევს ღარიბ ერობასო, გოდებს იკოთელი. კარგი და პატიოსანი! ბ. ვ. ჩხაიძემ, გაეცნო თუ არა სკოლების საქმეებს, ერობას სთხოვა: უჩემოდაც იოლათ წახვალთ, სკოლები ბევრი არა გაქვთ და კარგი იქნება გამათავისუფლოთო; ეს იყო ზამთარში. ერობამ ის არ გაუშვა. ჩვენ ვეკითხებით იკოთელს ერთ ამბავს: აგვისტოში ეს ინსტრუქტორის ადგილი უთხოვია ვასილ ჯიბლაძეს. ერობას რომ ის დაენიშნა, მაშინ იქნებოდა ის მძიმე ბარგი თუ არა?

„კრიტიკა" კარგი საქმეა, მაგრამ სინიდისიც კაი საქონელია!

იკოთელი თუ სკოლების საქმეების განქიქებას კისრულობს, ერთი რამ უნდა ქნას აუცილებლად: მან ბარემ თიანეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებშიც უნდა შეიხედოს თავისი მადლიანი თვალით. აქ ვ. ჩხაიძის და ვლ. პაპავას რევიზიამ (მგონია ამ თებერვალში იყო), ზოგი რამ ნაკლულევანებანი აღმოაჩინა: პროგრამა არც ერთ მასწავლებელს არ შეუდგენია, ახალ მეთოდებს არ ეცნობიან, გაკვეთილებზე მოუმზადებელნი მოდიან, პედაგოგიური საბჭოს სხდომები იშვიათიდ ხდება, გაკვეთილების ცხრილი ისე არის შედგენილი, რომ მასწავლებელს დღეში ხუთ-ხუთი გაკვეთილი აქვს სულ ყველას, სამაგიეროთ ზოგიერთ დღეებში არც ერთი. და ეს მომხდარა საერთო მოთხოვნილებით და სურვილით: 3—4 დღეში იშორებენ თავიდან ერთი კვირის „ბარგს", სამაგიეროდ 2—3 დღეს სეირნობენ! თითქოს ნარდათ მუშაობენო ლობიოს ან კარტოფილის თესვაზე! ეს აღნიშნეს რევიზორებმა.

ჩვენ თავს ვანებებთ კერძო შემთხვევებს, ისეთ ობოლ მარგალიტებს, როგორიც იყო ზოგიერთი მასწავლებლის მიერ გავლილი მასალის ახსნა: ილია ჭავჭავაძის ლექსიდან „ჩვენისთანა ბედნიერი" მასწავლებელი ხსნის „ყალანი" ყალიონიაო, „ფალანი" ფალნის სახელოები—ფანელის სახელოებიო. ეს ლექსი კი „ქართველ მწერლების" მესამე

გვერდზე სწერია და ახსნილიც არის: ყალანი—ღალა, ფალანი—კურტანი. და ამ რევიზიის შედეგი ის დარჩა, რომ არც ერთი ჩანაწერი შენიშვნა გამგე ჯიბლაძეს ყურად არ უღია, გარდა გაკვეთილების ცხრილის შესწორებისა. მასწავლებლებს პროგრამები კიდევ არ შეუდგენიათ, პედაგოგიური საბჭოს კრებებს მთლად თავი მიანებეს და მიუმატეს ის, რომ სანამ ნახევარი გაკვეთილი არ გათავდება, მანამდე კლასში არ შედიან: ან ოთახში საუბრობენ, ან ეზოში მიწას ბარავენ.

აქ კი შეიძლება ინსტრუქტორი ვ. ჩხაიძე დამნაშავე იყოს, რომ ის ამ „ყალან-ყალიონების" მასწავლებლებს ვერ სთხოვს ჯეროვან პასუხს, მაგრამ ეს არ შეადგენს მთლად მის უფლებას.

ძაღლის თავიც შეიძლება აქ იყოს დამარხული!

ცხადია, თუ როგორ „გასტროლებზე" უწევს სიარული ვ. ჩხაიძეს!

ვისაც თავისუფლება ესმის ისე, რომ ყოველგვარ მოვალეობისგან უნდა განთავისუფლდეს, სკოლა მხოლოდ ჯამაგირის ასაღებ ადგილად მიაჩნია, იმათთვის ჩხაიძე შეიძლება ვერ იყოს შესაფერისი მასწავლებელ-დამრიგებელი. რათ დაივიწყა იკოთელმა ვ. ჯიბლაძე და ძმანი მისნი? მარტო იმისთვის, რომ ჯიბლაძის მიერ ჩუმათ გატანილი „საბუთები" გამოაქვეყნა! სამართლიანობა ითხოვდა მას თიანეთის უმაღლ. დაწყ. სასწავლებელშიც შეეხედა, მაგრამ თავის თავს აბა ვინ გაიროზგავს!

„დაბალი სკოლის პარტებზე კამეჩები დაეტევიანო", სწერს იკოთელი. აფსუს!

„შაბაშ სიტყვა!" მასწავლებლები რიგრიგობით მიდიან და მოდიანო, განაგრძობს ის.

დიახ, დიდი საქმე მოხდა, დიდი! მასწავლებელი ქალი ავად გახდა, ლოგინად ჩაწვა. იძულებით ერობას აღმოაჩნდა თავისუფალი ყოფილი მასწავლებელი, ერობაში მოსამსახურე. დროებით არ გაგზავნა ერობამ. ავადმყოფს კი ნება მისცა საექიმოდ თფილისში წასულიყო. იკოთელის გარდა ვინ იტყვის, რომ აქ არაჩვეულებრივი რამე მოხდა! ასე იცის ჟინმა, პირადი და პარტიული ანგარიშების გასწორების სურვილმა.

ტეხნიკური საქმეებიც სცოდნია იკოთელს, ეკონომისტიც ყოფილა ის. „ელექტრონი და პროჟექტორი ხალხს და ერობას ვერაფერ სარგებლობას მოუტანსო". დაილოცა თქვენი ეკონომისტობა! მიართვით ბ-ნ იკოთელს მთებიდან ჩამოტანილი კვარი ან ქონის პალი! და ერთი გუდა ხიზილალაც - ამ აღმოჩენისთვის! ფუს, ელექტრონო!

ამის შემდეგ ის ბრძანებს, რომ კარგი იქნებოდა პრ. დოლიძე გზებს გააკეთებდეს, სახერხ და საქსოვ ქარხანას ააშენებდესო. ის, რაც პრ. დოლიძემ მარტში დაწვრილებით გააცნო ხმოსანთა ყრილობას ელექტრონის განათების, წისქვილის გაკეთების, სახერხი, საქსოვი და ნაბდის სათელი ქარხნის შესახებ და რაც „საქართვ. რესპ." №№ 72 და 73-ში იყო გამოქვეყნებული, თითქოს არ წაუკითხავს იკოთელს და ახლა ვითომ ახალ საქმეს მიგვითითა. ხმ. ვასილ ჯიბლაძეს ჰკითხოს აბა იკოთელმა: ჯიბლაძე ამ კრებებს თავმჯდომარეობდა და დოლიძის გეგმები ხომ მოისმინა. ესეც არ იყოს, თიანეთში სახერხ მაშინას უკვე სდგამს ერობა, სადაც არის ის მუშაობას დაიწყებს. გზების მიმართულებებს ტეხნიკური განყოფილება უკვე მეორე თვეა იკვლევს, ერთი მიმართულების კვლევა კიდევაც დასრულდა. აქაც დაუგვიანდა მითითება ბ-ნ იკოთელს.

ახლა მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ხალხს შევაგონოთ: ბეგარაზე არ გამოვიდეს, გადასახადი არ გადაიხადოს, ცხენები არ აქირაოს ერობას, „მიხედეთ გაჭირვებულ ხალხს, იხსენით გაჭირვებიდან, ყველას ეშველა და ჩვენ როდისღა გვეშველება"—ფარისეველ ბერივით გულში ხელის ჯახუნით ვწეროთ „სახალხო საქმეში" და ქვეყანა, რა თქმა უნდა, აშენდება.

დაივიწყა იკოთელმა რჩევა-დარიგებით, აგრეთვე სამსახურიდან უკვე დათხოვნილი კაკაბაძის „საბუთების" გამოქვეყნებით, სამაგიეროთ, თავის დროზე და სავსებით ასრულებს მეორე საქმეს: გადასახადი ბევრიაო, ხალხი გმინავსო, არაფერი გადაიხადოთო, ცხენები არ აქირაოთ ერობასო და სხვა.

გამგეობის წევრი ნ. ნადიბაიძე აგრონომი არ არისო და ის კი საგრონომიო ნაწილს განაგებსო, მაგრამ სოციალ-დემოკრატი არის და ამისთვის არგუნესო. საგრონომიო განყოფილებას თიანეთის ერობაში აგვისტოდან მარტამდე განაგებდა ლევ. დოლიაშვილი (ფედერალისტი); ამ მაისიდან კიდევ ლ. დოლიაშვილი განაგებს. ის კი არის აგრონომი, ან სხვა რაიმე სპეციალისტობის მცოდნე, გარდა ფედერალისტურ პროპაგანდისა, ბ. იკოთელო? ამას რატომ ივიწყებ?

„ბეითალს დაითხოვს გამგეობა და კრიზისი შეიქნება".

წინასწარმეტყველობს იკოთელი „ალიას დარდი ფლავიაო". გაგვიგონია. ბეითალი კ—ია გასულდათ „ამხანაგი ფედერალისტი". მან სამსახურიდან გასვლის თხოვნა რომ შეიტანა ერობაში, ამ დარგის გამგემ ლევ. დოლიაშვილმა დაახლოვებით შემდეგი წააწერა ზედ: „ძალიან სასიამოვნოა რომ მიდის, ნეტავი აქამდე წასულიყოო". იკოთელი კი აფრთხილებს ერობას: „ამხანაგს" ფლავი არ დაუკარგოთო. დაეკარგა ფლავი „ამხანაგ—ფედერალისტს" „ამხანაგისავე განკარგულებით! მახლას!

რა დარჩა იკოთელის წერილიდან?

უხეიროდ წარმოებული პარტიული თუ პირადი ანგარიშების გასწორების სურვილი და ცოტაოდენი დემაგოგია; ხალხო, საწყლებო, ერობა არაფერის მისცეთო. დაუჯერებენ კი იკოთელს და ძმათა მისთა თიანელები? აჰყვებიან კი პროვოკაციას? არა მგონია! ვფიქრობ, რომ ასეთი ცდა ფედერალისტების მხრივ ბოლოს უბრალო წყლის ნაყვად გადაიქცევა.

ჩვენ იძულებული გავხდით გვეთქვა ვ. ჯიბლაძის მიერ ჩუმათ „საბუთების" გატანის შესახებ, გვემხილებინა თიანელ ფედერალისტთა და იკოთელის ნამდვილი მუცლის ტკივილი და ამისთვის დრო დაგვეკარგა, თუმცა ისიც არ დაგვიწყებია; რომ: „ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, დევნა მეტი იყოვო".

**ჯიკოთელი.**

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 30 მაისს, თფილისის სამაზრო ერობის შენობაში გაიხსნა თფ. მაზრის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციათა მესამე კონფერენცია. დაესწრენ თითქმის ყველა რაიონებიდან. ყრილობა სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით გახსნა ამხ. ილ. ბადრიძემ. მოკლეთ განმარტა ყრილობის მოწვევის მიზანი და წინადადება მისცა აირჩიათ პრეზიდიუმი. ერთხმათ არჩეულ იქნენ: ამხ. ანანია სალუქვაძე თავმჯდომარეთ, ილ. ბადრიძე ამხანაგათ, გერონტი კილასონია მდივნათ. ამხ. ან. სალუქვაძის მისალმების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) პარტიული ყრილობის დღის წესრიგის განხილვა, 3) მოხსენება პრეზიდიუმისა, 4) ყრილობის დელეგატების არჩევნები, 5) მიმდინარე კითხვები.

მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. რამიშვილმა, რომლის გამოსვლას ყრილობა ტაშის ცემით და ოვაციებით შეეგება. მომხსენებელმა დაასურათა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და შეეხო ადერბეიჯანში მომხდარ გადატრიალებასაც და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს დემოკრატია თავის ნაცად გზას არ გადაუხვევს. მოხსენების გათავების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა სამაზრო ს. დ. კონფერენციამ მოხსენება ამხ. ნ. რამიშვილისა, იზიარებს პარტიულ ხელმძღვანელ ცენტრის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და აღიარებს, რომ საქ. ს. დ. მუშათა პარტიის საქმიანობით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამყარდა მშრომელთა პოლიტიკური ბატონობა და თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა: სალამს უძღვნის პარტიის ხელმძღვანელთა და უსურვებს მომავალშიაც ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი რესპუბლიკის და დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

პარტიული ყრილობის დღის წესრიგის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე რამიშვილი. კონფერენციამ იქონია მსჯელობა ყველა იმ საკითხებზე და მიიღო ყველა ის დებულებები, რომელიც იყო შემუშავებული პარტიულ თათბირის მიერ. სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ ამხ. გერ. კილასონიამ გააკეთა მოხსენება. კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. კილასონიას მოხსენება თფილისის სამაზრო კომიტეტის მოქმედების შესახებ, კონფერენცია სავსებით კმაყოფილდება პრეზიდიუმის მუშაობით და გადადის შორიგ საკითხზე.

კონფერენციამ მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილებანი პარტიულ მუშაობის, თვითმართველობათა და გვარდიის გაძლიერების და გაჯანსაღების შესახებ.

**კია-გენტი.**

## მუშათა შორის

**თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა შორის.** ქ. თფილისის თამბაქოს ქარხნებში მუშების პროფესიონალურ კავშირის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა— მიეცეს გაზეთ „ბახვორი-ძაინს": 5000 მან. შემდეგ გამგეობამ განიხილა საკითხი ამჟამი „მირის" ქარხნის უმუშევართა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გადაწყდა— 20,000 მან. გადაიდება. ეს თანხა განაწილდება უმუშევართა შორის შემდეგი წესით: მარტოხელას მიეცემა 250 მან., ოჯახიან წევრებს—150 მან. სულზე. დასასრულ განხილულ იქნა საკითხი წევრთა მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ, დადგენილ იქნა მიმართონ წინადადებით ფაბრიკანტთა საზოგადოების სათამბაქო სექციაში, შეწყვეტილ იქნეს მუშების ხელფასიდან ავანსების გამორიცხვა, სანამ განხილული არ იქნება ეს საკითხი შეთანხმებულ კომისიის მიერ.

**რესტორანებში მოსამსახურეთა შორის.** რესტორანებში, კლუბებში და სასტუმროებში მოსამსახურეთა კავშირში ჩაწერილია 227 უმუშევარი. ვინაიდან საკანდიტროების 7 საათზე დახურვის გამო უმუშევართა რიცხვმა იმატა, კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა მიმართოს ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობით, მიეცეს უფლება საკანდიტროებს 11 საათამდე ვაჭრობისა, ამასთანავე გადაწყვეტილია, ეთხოვოს პროფესიონალურ კავშირთა გამგეობას, რათა მან თავის მხრით დაუჭიროს მხარი მათ მოთხოვნილებას კლუბებში 1 საათამდე და რესტორანებში 12 საათამდე მუშაობის განგრძობის შესახებ.

**ქალაქის საავადმყოფო კასა.** ქალაქის საავადმყოფო კასის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) მიეცეს დახმარება მშობიარეთ, რომელიც უნდა უდრიდეს სამუშავო ქირის რაოდენობას, 2) მუშებს, რომელიც გახდებიან ავათ რომელიმე ავათმყოფობით, მიეცეს დახმარება ნახევარი თვის ჯამაგირის რაოდენობით, 3) იქნეს მოწვეული 20 ივნისს კასაში მონაწილეთა საერთო კრება. მშენებელი მუშების კავშირში. კავშირში ჩაწერილია 300 უმუშევარი. ვინაიდან არ არსებობს არავითარი საშვალებანი, უმუშევართ არ ეძლევათ არავითარი დახმარება. ერთდროული დახმარება ეძლევათ მხოლოდ ავათმყოფ და დასახიჩრებულ წევრებს. უმუშევართა ფონდის მოსაწყობად, გადაწყვეტილია მოკლე ხანში მოეწყოს საქველმოქმედო მიზნით სპექტაკლი.

**თფილისი.** 6 ივნისს ავჭალის მუშათა კლუბში შესდგა თფილისის საქონელთმზიდველთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საგანგებო საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. ძეგველოვი, მდივნათ დ. ქუჩულორია. დღის წესრიგს შეადგენდა კითხვები: 1) მოხსენება კავშირის მდგომარეობაზე და მისი ახალ საფუძველზე დაყენება, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 3) თვიური საწევროს გადიდება და 4) მიმდინარე კითხვები. პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის საქმის მწარმოებელმა ქუჩულორიამ, რომელმაც აღნიშნა კავშირის გამგეობის უმოქმედობა, რის შედეგია კავშირის არასასურველ ნიადაგზე დგომა, როგორც მიზნის და დანიშნულების მხრივ, ისე ფინანსიური მხრითაც. მომხსენებელმა აღნიშნა კავშირის და ქალაქის გამგეობის შორის ცუდი დამოკიდებულება, რის შედეგია ის, რომ ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემული ნიხრი ტვირთის გადაზიდ-გადმოზიდვაზე სანახევროთ არ აკმაყოფილებს კავშირის წევრთა მოთხოვნილებებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად დადგენილ იქნა: არჩეულ იქნას ახალი გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარეთ მოწვეულ იქნას გარეშე პირი—მცოდნე ჯამაგირით; გამგეობის მდივნათ დატოვებულ იქნას ისევ დ. ქუჩულორია. შემდეგ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნენ: გ. ძეგველოვი, სანდრო ბრეგვაძე, კალისტრატე ჩემია, ნიკ. ჭილაშვილი და სილოვან ჩიქობავა. კანდიდატებათ: ცატუროვი დავით, ივ. ნარსია და ს. შალამოვი. სარევიზიო კომისიაში: მაყაშოვი ივანე, გ. ტატიანი და დ. ცეტუროვი.

მესამე კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან თავმჯდომარის მოწვევით გადიდდება კავშირის თვიური ხარჯი, ამისთვის თვიური საწევრო გადასახადი უნდა გადიდებულ იქნას ორჯერ ე. ი. ცალცხენიან „პადვოდაზე" თვიური საწევრო გადასახადი 80 მანეთი, ხოლო წყვილ ცხენიანზე 100 მანეთი. სხვა მიმდინარე კითხვების გადაწყვეტა მიენდო ახალ გამგეობას.

**დ. ქუჩულორია.**

## პროვინცია

**გარე კახეთი** (თფილისის მაზრა). გარე კახეთი შესდგება სამი რაიონიდან: მარტყოფის, ივრის და საგარეჯოს. სამივე რაიონი შემოვიარე. პარტიული ორგანიზაციები, როგორც სოფლებში ისე საზოგადოებებში, არის. რაიონული შეფარდებულია თემებთან. მარტყოფის რაიონში თითქმის ყველა სოფლებში მოეწყო მიტინგები. მარტყოფიდან ბევრი გვარდიელია წასული ფრონტზე. მობილიზაცია ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის, კარგად ჩატარდა. მოსავალი წელს იშვიათი უნდა ყოფილიყო, რომ მოულოდნელ სტიქიას არ აეოხრებია. ოცდა ხუთში ღამით საათის ცხრაზე ბუნება განრისხდა: დაიწყო საშინელი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა. ისეთი ძლიერი ქუხილი იყო, რომ რამდენიმე ფანჯარაში მინები ჩაამტვრია და სახლები ქანაობდნენ, როგორც მიწის ძვრის დროს. მეორე დღეს დილით გავიგეთ, რომ სოფლის ახლო მთებიდან წამოსულიყო ვეება ნიაღვარი, რომელსაც დაეხრჩო ექვსას სულამდე ცხვარი და მხვილფეხა საქონელი. ხმა გავრცელდა, რომ რამდენიმე მეცხვარეც წაიღო ნიაღვარმაო. ამ ზარალის მიზეზი, რა თქმა უნდა, მოულოდნელი სტიქია იყო, მაგრამ გამოცდილი მეცხვარეები რომ ყოფილიყვნენ, არ მოუვიდოდათ ესე. ძველი მეცხვარეები ჯარისკაცებათ წაიყვანეს და ახლებს ცხვარი რიყეზე დაეყენებიათ, რომელზედაც ყოველთვის გადადის ხოლმე ნიაღვარი. დაზარალდა ახალსოფლის, საცხენისის, მარტყოფის და ნორიოს ყანები. მიუხედავად ყველა ამ უბედურებისა, მეორე დღეს, 26 მაისს, დიდებული დღესასწაული გაიმართა. ჯერ დილითვე ადრე გამოფინეს ეროვნული და წითელი დროშები. რამდენიმე გვარდიელი წითელ გორისაკენ (ასე ეძახიან 26 მაისის გორას) გაეშურნენ ტრიბუნის მოსაწყობად. თერთმეტზე ხალხმა იწყო თავის მოყრა. საინტერესო სანახავი იყო წითელ გორიდან ცქერა, თუ როგორ მოდიოდნენ დროშებით სოფლებიდან. წინ მოუძღოდა ცხენოსნები დროშებით. უკან ახალგაზრდობა და შემდეგ მოხუცებულები და ქალები ფურგუნებით. დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. რამდენიმე ორატორმა წარმოსთქვეს სიტყვები, რასაც ხალხი ხვდებოდა დიდის ოვაციებით. ოცი ორატორი რომ ყოფილიყო, ყველას სიამოვნებით მოუსმენდენ. მიტინგის დაშლის შემდეგ გაიმართა თამაში, ჭიდაობა და ბოლოს სადილი, რომელზედაც ბევრი საინტერესო სიტყვები წარმოითქვა. სადღეგრძელოებს ამშვენებდა კახური მრავალჟამიერი, რომელსაც ამბობდნენ გუთნის დედები. დიდათ ამშვენებდა მიტინგს ახალგაზრდა მოწაფეები, რომლებიც სასიამოვნო, მომხიბლელი ხმით მღეროდნენ: „გაუმარჯოს საქართველოს". ხალხი დიდათ ნასიამოვნები დაიშალა მზის ჩასვლისას.

ივრის რაიონშიაც მოეწყო 26 მაისი, თუმცაღა შედარებით უფერულად, ვინაიდან მოწინავე ჩვენი პარტიის წევრები ფრონტზე არიან და გამოცდილი ხელი აკლდა. თემს დიდი გულგრილობა გამოუჩენია დღესასწაულის მოწყობაში. როდესაც ეკითხებოდნენ თურმე სართიჭალელები თემის ერთ ერთ წევრს, ვიუქმოთ თუ არაო, უპასუხნია შეგიძლიათ იმუშაოთო. ოცდა ექვსი მაისის მოწყობა თემის მოვალეობას შეადგენს. თუმცაღა ხალხი არ გაუფრთხილებია თემს, მაგრამ სოფლები ხაშში და პატარძეულში მაინც შეკრებილა და თავისი ვალი შეუსრულებია. ივრის თემში ერთ დეზერტირს ვერ ნახავთ. გვარდიაზე ლაპარაკი ზედმეტია. არ დარჩენილა ერთი გვარდიელი, ყველანი ფრონტზეა, მოხალისეები ბევრია გასული. პარტიული ორგანიზაციები ყველა სოფლებშია. მთელ რაიონში ოთხას წევრამდე ითვლება. ყველა სოფლის ორგანიზაციები შეკავშირებულია რაიონში. საგარეჯოს რაიონშიაც მოეწყო რამდენიმე კრება. მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ხალხია გასული ფრონტზე, მაინც იპოება რამდენიმე მოწინავე ამხანაგი, რომლებიც აწყობენ პარტიულ კრებებს და მიტინგებსაც. ოცდა ექვსი მაისი იშვიათად ჩატარებულა, საგარეჯო გაწითლებული ყოფილა ხალიჩებით წითელი და ეროვნული დროშებით. ხალხი ზურნით და სიმღერით ულოცავდენ სოფლებს დიდ დღესასწაულს. საგარეჯოში დღესასწაულის მოწყობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია თემს, ადმინისტრაციას და ადგილობრივ პარტიულ კოლექტივს. ამ მხრივ დიდი ერთსულოვნობა გამოუჩენია საგარეჯოს რაიონს. დაახლოვებით ოცდა რვა ოცდა ცხრამში საგარეჯოს რაიონსაც ეწვია სეტყვა და ნიაღვარი, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა რაიონს. ამწვანებული მინდვრები რამდენიმე წუთის განმავლობაში გათეთრდა სეტყვისგან. ზარალი დიდია, მაგრამ ხალხს დაღონება არ ეტყობა. იმ მიყრუებულ სოფლებშიაც კი, როგორიც არის თოხლიაური და მანავი, სადაც ბლომათ იყო ბალშევიკურად მოაზროვნეები, დღეს ახალგაზრდობა სულ ფრონტზეა. ერთმა მანაველმა მოხუცებულმა მითხრა: „ჩემი შვილები ფრონტზეა, მაგრამ თუ კი ამას ჩვენი მთავრობა მოითხოვს, მეც იქ წავალ ჩემი ბებერითო. მე ტყვიას მივაწვდი მეომრებს და ცოლს სადილს გავაკეთებინებო": მანავშიაც და თოხლიაურშიაც არის პარტიული ორგანიზაციები, ადგილობრივი მასწავლებელი მუყაითად მუშაობს. ასე, რომ ყველა მასწავლებლები მუშაობდნენ, ჩვენს რესპუბლიკას არა უშავს, მაგრამ მეტი წილი სიზარმაცეს იჩენს. მასწავლებლებს შეუძლიათ საკვირაო სკოლები გახსნან და ძველი დროის დაბეჩავებული და ჩამორჩენილი გლეხობა გამოაფხიზლონ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გარე კახეთი იშვიათ კუთხედ ჩამოყალიბდა. გარე კახეთის გვარდიამ საქართველოს რესპუბლიკის დაცვაში დიდი როლი ითამაშა. ყველა დიდ სოფლებში არის ძმათა სასაფლაოები, რომელსაც ამშვენებს წითელი დროშა. მარტო საგარეჯოში შვიდ გვარდიელამდეა მოკლული ახალციხის და ადერბეიჯანთან ბრძოლაში.

**ლადო კაკაბაძე.**

**საგურამო.** მაისის 23 აქ შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, დაესწრო 30 სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა. მოხსენება გააკეთეს დამფუძნებელი კრების წევრებმა: ივ. ტატიშვილმა, დ. ჩხეიძემ და დუშეთის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ ჭონიშვილმა. მოხსენებები შინაარსიანი გამოდგა. ყოველ მომხსენებელს მხურვალე ტაშით აჯილდოებდა ხალხი. იყო შეკითხვებიც, რომლებზეც ჯეროვანი პასუხი და განმარტება მიიღეს. ხალხი ერთობ კმაყოფილი დარჩა დეპუტატების მოსვლით და მოხსენებებით. „ეხლა ყველაფერი გავიგეთ... ჩვენც მზათა ვართ... უსისხლოთ არავის დავუთმობთ ჩვენს სამშობლოს და თავისუფლებას"-ო, გაისმოდა ხალხში. მიტინგმა შესაფერისი რეზოლიუციები გამოიტანა; მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარეს.

29 მაისს აქ კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომელმაც გასტანა რამდენიოდე საათს. პატარა მდინარე „რუსების-ხევი" საშინლათ ადიდდა, გადალახა ნაპირები და ახლო-მახლო მდებარე ყანები და ბაღჩები წალეკა, დიდი ზიანი მიაყენა აგრეთვე ხევმა სოფ. ჭილაურას. აზვირთებული და აბობოქრებული შეიჭრა სოფელში და თხუთმეტიოდე კომლი საგრძნობლათ დააზარალა, სრულიად გაანადგურა ამათგან სამი კომლი, ისაკა, კოლა და მოსე (იოსებ) მახარაშვილები, რომლების სახლები ნახევრათ დაანგრია და ავეჯეულობა ერთიან წაიღო. რიყეთაა ქცეული აგრეთვე უკანასკნელთა ყანები და კარგათ მოშენებული ბაღები. ისაკა მახარაშვილს წაართვა აგრეთვე 30,000 მან. ფულათ, რომელიც მან ისესხა მეზობლებისაგან მუშა საქონლის სასყიდლათ. ამ საშინელი სურათის სანახავათ გაემგზავრა დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ივანე ტატიშვილი და ადგილობრივ თემის თავმჯდომარე ლ. მამულაშვილი. დაზარალებულებმა შესჩივლეს მათ თავიანთი გაჭირვება.

დეპუტატმა აღუთქვა ყოველგვარ ღონისძიების მიღება, რათა მათ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს. იქვე შესდგა ოქმი, რომელშიაც დაწვრილებით აღწერილია თუ ვის რამდენი ზარალი მოუვიდა. მარტო უკანასკნელ 3 კომლის ზარალი აღემატება ნახევარ მილიონს. თემმა თავის მხრითაც აღუთქვა დახმარება, დაარსდა დამხმარე კომიტეტი, რომელიც იმ დღიდანვე შეუდგა შემოწირულებათა შეგროვებას. ძლიერ ადიდდა აგრეთვე „თეძამი," რომელმაც აქა იქ ყანები და ბაღები წაიღო. ორივე მდინარეს ადიდების დროს თან მოჰქონდა დამხრჩვალი საქონელი, სკივრები და სხვა ავეჯი. აღსანიშნავია, რომ ხევებმა ამ ბოლო დროს უფრო ხშირად იწყეს ადიდება. ამის მიზეზი უთუოდ ტყეების გაკაფვაა. მართალი იყო დამფუძნებელი კრების წევრი ივანე ტატიშვილი, როცა მან ჯერ კიდევ გასული წლის დამდეგს ვრცელი მოხსენება წარუდგინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგურამოს რაიონში ტყეების უწესრიგოთ გაკაფვისა და გაჩანაგების შესახებ. მომხსენებელი მოითხოვდა საკანტროლო კომისიის დანიშვნას და ადგილობრივ მოხელეების მოქმედების გადასინჯვას. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ვერ არის ტყეები მოვლილი. თუ დროზე ყურადღება არ მიექცა, სასმელი წყაროებიც მალე დაშრება და მაშინ უფრო მეტ გაჭირვებაში ჩავარდებიან მცხოვრებნი. ამის ნიშნები უკვე არის. ზოგიერთ სოფლებს ორი სამი ვერსის მანძილზე უხდება წყლისთვის სიარული.

რამდენიმე დღეა რაც წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის მასწავლებლების ინიციატივით აქ დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი წრე, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული სამკითხველოს გახსნა, წარმოდგენების გამართვა, ლექციების კითხვის მოწყობა და სხვა. ჯერჯერობით წრეს მოსდის: „ერთობა", „სახალხო საქმე", „ბორბა", „სლოვო" და „საქართველო." ვუსურვებთ წრეს ნაყოფიერ მუშაობას.

**მოგზაური.**

## განცხადებანი


**ქ. ბორჯომში**, პარკთან ახლოს, ანასტასიის ქუჩაზე

**იყიდება სახლი**

პირობების გასაგებათ მიმართეთ: ევანგულოვის ქ. № 8, ბინა ენაკოლოპოვისა. დილის 9—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (1830 1—1)

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

**პ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა. და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი **მ. გოლდშტეინი**

თვალით ავათმყოფი (სათვალეების შერჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი

**გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

**ე. მ. მძინარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—2)

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

კბილის ექიმი

**ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**

და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—6)

ექიმი

**ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

**იყიდება ყინული**

გრიბოედოვის ქ: № 24, (1834 3—1)

კვირას, 6 ივნისს, გოლოვინის პრ. რაიონში გიმნაზიის და პეტრე-დიდის ქ.

**დავკარგე**

საფულე დოკუმენტებით და პასპორტით: მნახველს ვსთხოვ დოკუმენტები და პასპორტი დამიბრუნოს, რადგანაც მისთვის მოუხმარელია, ფულები თვითონ დაიტოვოს. მომტანი მიიღებს კარგს საჩუქარს. ადრესი: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა, მაღაზია იარალოვისა **ი. ს. დიდზურაბოვს.** (1832 1—1)

**საქართველოს რესპუბლიკის ავიცერთა ეკონომიური**

საზოგადოების გამგეობა თანახმად საერთო რწმუნებულთა კრების ამა წლის 17 მარტის დადგენილებისა (№ 13) აცხადებს საზოგადოების

**წევრთა საყურადღებოთ,**

რომ საპაიო გადასახადი წევრებისა 100 მან. გადიდებულია 200 მანეთამდე. ამიტომ თანახმად საზოგადოების წესდების § 19 მუხლისა შეუვსებელ პაის ნაწილი უნდა შემოტანილ იქნას საზოგადოების სალაროში 4 თვის განმავლობაში ყოველთვიური შეტანით, დღიდან განცხადებისა.

**გამგეობა.** (1833 2—1)

**გამოცდილი მასწავლებელნი**

**ადგენენ**

საზაფხულო მოსამზადებელ ჯგუფებს, მე-2, 3, 4, 5 კლასის მოწმობისათვის და სასწავლებელში შესასვლელად. აგრეთვე „პერეეკზამენოვკებზე": რუსულში, ქართულში, გერმანულ, ფრანგულ ენებში და მათემატიკაში. ფასი თვეში 600—1500 მ. ჩაწერა 9—1 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. 5) მაჩაიძის ბინა. (ნ. 3—3)